



ევროკავშირი
საქართველოსთვის



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

წარული მეთვალყურეობის ზედამხედველობა

კანონმდებლობა და პრაქტიკა

2024

ეს ანგარიში მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

გამოყენებული აბრევიატურები და ტერმინები	6
მიგნებები	8
ზოგიერთი გამოწვევის გადაჭრის გზები	11
შესავალი.....	12
კვლევის მეთოდები და ფარგლები	14
1. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების ნორმატიული განმარტება და პრაქტიკული გააზრება	16
1.1. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა	17
1.2. კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვება.....	17
1.3. გეოლოკაციის/ადგილმდებარეობის რეალურ დროში განსაზღვრა	19
1.4. ფარული ვიდეოჩანერა ან/და აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება.....	19
2. სუს-ის სააგენტოს ხელთ არსებული ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებათა აღსრულების ტექნიკური შესაძლებლობა	20
3. ფარული მეთვალყურეობის განხორციელების მიზანი, სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკა	22
3.1. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელება გამოძიების პროცესში	22
3.1.1. ნებართვა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე.....	24
3.1.2. ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ვადები	28
3.1.3. ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის შეწყვეტა.....	30
3.1.4. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურება.....	31
3.1.5. პირისთვის შეტყობინება მის მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედების თაობაზე.....	33
3.1.6. ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობრივი დაკვირვებები....	35

3.2. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები.....	37
3.2.1. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების საფუძვლები.....	38
3.2.2. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებაზე ნებართვის გაცემა.....	38
3.2.3. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების სახელმძღვანელო პრინციპები.....	40
3.2.4. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების ვადები.....	41
3.2.5. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების მიმდინარეობის შეწყვეტა.....	41
3.2.6. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურება.....	42
3.2.7. პირისთვის შეტყობინება მის მიმართ განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების შესახებ.....	43
3.2.8. კონტრდაზვერვითი მიზნით განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა	44

4. ფარულ მეთვალყურეობაზე სასამართლო ხელისუფლების კონტროლის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის შეფასება.....

4.1. ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი.....	47
4.2. სასამართლო კონტროლის ეფექტიანობის შეფასების მცდელობა: პირველი ინსტანცია.....	49
4.2.1. პირველი ინსტანციის სასამართლოებთან გაგზავნილი მოთხოვნები.....	50
4.2.2. საერთო სასამართლოების პოზიცია.....	50
4.2.3. სამართლებრივი შეფასება.....	53
4.3. სასამართლო კონტროლის ეფექტიანობის შეფასების მცდელობა: მეორე ინსტანცია.....	55

4.4. კონტრდაზვერვით საქმიანობაზე განხორციელებული სასამართლო კონტროლის ეფექტიანობის შეფასების მცდელობა	58
5. ელექტრონული სისტემის საშუალებით განხორციელებული კონტროლი	62
5.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის კონტროლი.....	62
5.2. საქართველოს უზენაესი სასამართლო	67
6. ფარული საგამოძიებო მოქმედებების თვალსაზრისით დაფიქსირებული ინციდენტები და მათზე რეაგირება	69
6.1. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენცია	69
6.2. სახელმწიფოს რეაგირება დაფიქსირებულ ინციდენტებზე: ე.წ. კრებსების მაგალითი.....	70
7. საქართველოს პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებები: პოლიტიკური და სამართლებრივი კონტროლი	75
7.1. ნდობის ჯგუფი.....	75
7.2. დროებითი საგამოძიებო კომისია	78
8. კონსტიტუციური კონტროლის ეფექტიანობა ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების კანონმდებლობაზე.....	80
8.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N625,640 საქმეზე: კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურაზე პირდაპირი წვდომის არაკონსტიტუციურად ცნობა	80
8.2. საქართველოს სახალხო დამცველი და სხვები: (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი): სუს-ის სააგენტოს ტექნიკური შესაძლებლობების კონსტიტუციურობა .	82
8.3. კონსტიტუციური სარჩელი N690: კონტრდაზვერვითი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობა	82
შეჯამება	84

გამოყენებული აბრევიატურები და ტერმინები

სსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სსკ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

სააგენტოს შესახებ კანონი - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი

კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი - “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონი

ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებები - ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები

ფარული საგამოძიებო მოქმედებები - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები

ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები - „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით, ასევე მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები

რეგლამენტი - საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

სუს-ის სააგენტო - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო

სუსი - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

IDFI - ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საანგარიშო პერიოდი - 2021 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი

ვენეციის კომისია - ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით

მიზნაუბი

1. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების აღსრულების პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დაკმაყოფილების თაობაზე დამაჯერებელი დასკვნების გასაკეთებლად სათანადო ინფორმაცია არ მოიპოვება.
2. ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით პასუხისმგებელი უწყებების მიერ დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი დაბალია. სხვადასხვა უწყების მიერ მონოდებული სტატისტიკური ინფორმაცია არ იძლევა შედარებისა და შეჯერებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.
3. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ელექტრონულ თვალთვალთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაციის (მათ შორის, ყველაზე საბაზისო სტატისტიკური მონაცემების) მიღება არის პრობლემური და ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით რაიმე ტიპის შინაარსობრივი თუ რაოდენობრივი დასკვნების გაკეთების სივრცე ჩაკეტილია.
4. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებზე სასამართლო კონტროლის ეფექტიანობისა და კანონიერების შეფასება შეუძლებელია. სასამართლოები შესაბამისი ნებართვის ტექსტებს არ ასაჯაროებენ, მათ შორის, არც იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმე უკვე დასრულებულია, მოპოვებული ინფორმაცია კი - განადგურებული.
5. IDFI-ს მიერ მიღებული საჯარო ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2021-2023 წლებში საერთო სასამართლოებმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით 9300-ზე მეტი შუამდგომლობა განიხილეს. მათგან თითქმის 91.7% დაკმაყოფილდა სრულად, ან ნაწილობრივ.
6. ყველაზე მეტ შუამდგომლობას თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს, რომელზეც სასამართლოთა მიერ განხილული შუამდგომლობების 54.7% მოდის.

7. იმ სასამართლოებიდან, რომელთა მიერ საანგარიშო პერიოდში განხილული შუამდგომლობების რაოდენობა 10-ზე მეტია, სამმა სასამართლომ (ამბროლაურის, ცაგერისა და ახალქალაქის) შუამდგომლობების 100% დააკმაყოფილა. აგრეთვე, დიდ ქალაქებს შორის, დაკმაყოფილების განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა გორის (99%), მცხეთისა (98.3%) და რუსთავის (96.5%) სასამართლოები.
8. პროკურატურის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდგომ მოსმენას დაქვემდებარებული პირისთვის შეტყობინების ვალდებულების გახანგრძლივების შემთხვევები 2021 წლის შემდგომ 80%-ით გაიზარდა.
9. ერთ-ერთ ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე - „გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა“ არანაირი სტატისტიკური ინფორმაცია არ მოიპოვება. გასათვალისწინებელია, რომ გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის ტექნიკური საშუალება ცალკე სისტემას წარმოადგენს, რომლის შექმნისთვისაც სახელმწიფომ მნიშვნელოვანი რესურსი გაიღო.
10. 2022 წლის 1 მარტიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში იყო ჯამში 331 საქმე. 2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, გამოძიება მიმდინარეობდა სამსახურის მანდატს მიკუთვნებულ 244 საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 87 პირის მიმართ. ბრალდებული პირებიდან არც ერთი არ არის, თავისი კომპეტენციით, ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ან/და კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ფარულ მიყურადებაზე უფლებამოსილი სპეციალური სამსახურის წარმომადგენელი.
11. რიგ შემთხვევებში, საჯარო დაწესებულებები უკანონოდ ამბობენ უარს ფარული მეთვალყურეობის თაობაზე შეტანილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე. ამ ინფორმაციის მისაღებად განმცხადებელს უწევს მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაღება,

როგორც განცხადების მომზადების, აგრეთვე ადმინისტრაციული საჩივრისა და მასთან დაკავშირებული წარმოების ფარგლებში.

12. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ვერ/არ შეძლო 2021 წლიდან 2022 თებერვლის ჩათვლით არსებული პერიოდის სტატისტიკური ინფორმაციის მოწოდება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე. ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის მიღება ამ უწყებიდან მხოლოდ 2022 წლის მარტის შემდგომ არსებულ პერიოდზე არის შესაძლებელი.
13. ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით კონსტიტუციური კონტროლი მნიშვნელოვნად ლიმიტირებულია. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოებაში არსებული საქმეების განხილვა, რომლებიც ფარულ მეთვალყურეობას შეეხება, არაგონივრულად ჭიანურდება.

ზოგიერთი გამოწვევის გადაჭრის გზები

1. შემუშავდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების მეთოდოლოგია ზედამხედველობის პროცესში ჩართულ უწყებებთან კოორდინაციით, იმგვარად რომ:
 - 1.1. სტატისტიკური ინფორმაცია შეიცავდეს მონაცემებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების სხვადასხვა ასპექტის შესახებ (მაგალითად: ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეები, ფარული საგამოძიებო მოქმედებების გახანგრძლივება, გასაჩივრების შედეგები, შეტყობინების გადავადება და სხვა);
 - 1.2. სხვადასხვა უწყების მიერ ერთი და იმავე საკითხებზე შეგროვებული ინფორმაცია იძლეოდეს შედარების შესაძლებლობას.
2. უნდა შეიქმნას/გასაჯაროვდეს სტატისტიკური ინფორმაცია კონტრდაზვერვითი მიზნით განხორციელებული ფარული მეთვალყურეობის თაობაზე;
3. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფარულ მეთვალყურეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასამართლოს მიერ მიღებული აქტების საჯაროობა მას შემდგომ, რაც ამ აქტების გასაიდუმლოების ინტერესი აღარ იარსებებს;
4. ფარული მეთვალყურეობის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლო შემთხვევებზე სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ეფექტიანი რეაგირება და საზოგადოებას პროაქტიულად მიაწოდონ განახლებული ინფორმაცია;
5. საპარლამენტო კონტროლი ფარული მეთვალყურეობის განმახორციელებელ და მათ საზედამხედველო უწყებებზე, ისევე როგორც, ფარული მასალების უკანონო გავრცელების შემთხვევებზე, უნდა გაძლიერდეს.

შესავალი

უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის. დასახელებული სექტორების ანგარიშვალდებულება, მიუკერძოებლობა, ისევე როგორც საქმიანობისას კანონის უზენაესობისა და ადამიანის ძირითად უფლებათა მოთხოვნების დაცვა ქვეყნის დემოკრატიის ხარისხის ინდიკატორია.

სამწუხაროდ, საქართველოში ყოველთვის არსებობდა ლეგიტიმური კითხვები უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების მიუკერძოებლობასთან, ისევე როგორც, მათი პარტიული ინტერესებით გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს კითხვები ამ დრომდე არ გამქრალა, მეტიც, ბოლო წლებში გამწვავდა კიდევ. აღნიშნულის გამოძახილია, ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის [ანგარიში](#) (გვ. 33), რომლითაც საქართველოს მიენიჭა კანდიდატის სტატუსი, თუმცა, გამონკვევები დაიდენტიფიცირდა მართლმსაჯულებისა თუ უსაფრთხოების სექტორს მიკუთვნებულ ფაქტობრივად ყველა უწყებაში. აღნიშნულ ანგარიშში, მათ შორის, 2021 წლის 13 სექტემბერს, სავარაუდოდ უკანონოდ, ფარული მეთვალყურეობის შედეგად შექმნილი მასალების მასობრივი გაჟონვის ფაქტი მოხვდა. ევროკომისიამ მიუთითა, რომ მონოდებების მიუხედავად, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, დიპლომატიური კორპუსისა და სამოქალაქო აქტივისტების პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ამ დრომდე გამოუძიებელია. ნიშანდობლივია, რომ 2023 წლის 18 დეკემბერს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა [დასკვნა](#) (პარ. 103-112), რომელიც, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურსა და სასამართლოს მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების კონტროლს შეეხებოდა. ვენეციის კომისია იმეორებს კითხვებს სასამართლო კონტროლის ეფექტიანობის თაობაზე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ბუნებისთვის უცხოდ (“არაორდინალურად”) მიიჩნევს მის უფლებამოსილებას, განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა სუს-ის სააგენტოზე.

ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობის ბოროტად გამოყენების ალბათობა, მათი ფარული ბუნებიდან ისევე, როგორც

ლეგიტიმური თუ არალეგიტიმური მიზნის მიღწევის სიმარტივიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მაღალია. აღნიშნულს ადასტურებს სახელმწიფოს ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების პრევენციისკენ მიმართული უწყებებისა თუ უფლებამოსილებების სიმრავლე. ამ ანალიზის მიზანი არის სწორედ ამ უწყებათა და უფლებამოსილებათა გამოყენების კვლევა მათი გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის პერსპექტივიდან.

კვლევის მეთოდები და ზარბაზნი

IDFI-მ უპირველესად შეისწავლა ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები. აღნიშნულის შედეგად განისაზღვრა ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების კანონიერად და ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტურ მოთხოვნებთან შესაბამისად აღსრულების სტანდარტები. ამ მოთხოვნათა პრაქტიკაში იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით IDFI-მ შეისწავლა ღია წყაროებში არსებული ინფორმაცია, რის შემდგომაც პროექტის გუნდმა მოამზადა საჯარო ინფორმაციის განცხადებები.

IDFI-მ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით განცხადებები გააგზავნა საქართველოს პარლამენტში, სუს-ის სააგენტოში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, პროკურატურასა და სასამართლო სისტემაში (საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოებში, ისევე როგორც ოთხ საქალაქო სასამართლოში). მოთხოვნის საგანს წარმოადგენდა საანგარიშო პერიოდში (2021, 2022 და 2023 წლებში) მოთხოვნილი ან/და განხორციელებული ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების თაობაზე რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების (მათ შორის, სასამართლოს აქტების) მიღება, როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის. ამავდროულად, შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილ იქნა გამოვლენილ დარღვევებსა და საჯაროდ დაფიქსირებულ ინციდენტებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადებები შედგა იმ ფორმით, რომ მიღებული ინფორმაცია გამოსადეგი ყოფილიყო ფარული მეთვალყურეობის მიმართულებით არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ შინაარსობრივი/თვისებრივი დასკვნების გაკეთებისთვის წინასწარ იდენტიფიცირებულ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით. პირველი ტალღის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დამატებით გაიგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებები, მეორე და მესამე ტალღად, ასევე შესაბამის უწყებებს წარედგინა ადმინისტრაციული საჩივრები.

საკანონმდებლო ნორმების ინტერპრეტაციისთვის, გამოყენებულ იქნა არა მხოლოდ ავტორის ხედვები, არამედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის რელევანტური სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მიცემული განმარტებები (სხდომის ოქმები) N885-1231 კონსტიტუციური სარჩელების განმწესრიგებელი და არსებითი განხილვის სხდომებზე.

ამ ანგარიშის მიზნებისთვის, შესწავლის საგნად განისაზღვრა სუს-ის სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებები, გარდა საფოსტო/სატელეგრაფო გზავნილის კონტროლისა. სახელდობრ, სააგენტოს შესახებ კანონის მე-7 მუხლის “ა.ა”-“ა.დ” ქვეპუნქტები, ისევე როგორც ამავე მუხლის “ა.ვ” ქვეპუნქტი. ეს ღონისძიებები აგრეთვე გათვალისწინებულია სსსკ-ის 143¹ მუხლის პირველი პუნქტის “ა”, “ბ”, “გ” და “ე” ქვეპუნქტებითა და “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის “ა”, “ბ”, “დ” ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით.

1. ზარული მეთვალყურეობის ღონისძიებების ნორმატიული განმარტება და პრაქტიკული გააზრება

სააგენტოს შესახებ კანონის მე-7 მუხლის “ა.ა”-“ა.დ” ქვეპუნქტების, ისევე როგორც ამავე მუხლის “ა.ვ” ქვეპუნქტის თანახმად, დასახული ამოცანების მისაღწევად სუს-ის სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს:

- N1.** ა.ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა;
- N2.** ა.ბ) კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვება;
- N3.** ა.გ) კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვება;
- N4.** ა.დ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა;
- N5.** ა.ვ) ფარული ვიდეოჩანერა ან/და აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება.

სსსკ-ის 143¹ მუხლი დასახელებულ ღონისძიებებს აკვალიფიცირებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებად, “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლი – ოპერატიულ-ტექნიკურ და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებებად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ N1, N2, N3 და N4 ღონისძიებების განხორციელების ექსკლუზიური კომპეტენცია სააგენტოს გააჩნია და “დაუშვებელია ანალოგიური ამოცანებისა და უფლებამოსილებების მქონე სხვა სახელმწიფო ორგანოს შექმნა და ფუნქციონირება საქართველოს ტერიტორიაზე” (სააგენტოს შესახებ კანონი, მუხლი 12). რაც შეეხება N5 ღონისძიებას - მისი განხორციელება შეუძლია როგორც სააგენტოს, ისე სხვა საგამოძიებო ორგანოებს (მაგ. შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსსკ, მუხლი 3.32. “ბ”).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის თანახმად, სააგენტო თავისით არ წყვეტს განსახილველი ღონისძიებების გამოყენების საკითხს. სააგენტოს უნდა შევხედოთ, როგორც უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი სექტორისთვის მომსახურების მიმწოდებელ ორგანოს, რომელიც შედის სუს-ის მმართველობის სფეროში, თუმცა კანონის თანახმად, სააგენტო უნდა იყოს დამოუკიდებელი. ნიშანდობლივია, რომ სააგენტოს რეალური დამოუკიდებლობის არარსებობა სახალხო დამცველისა და 326 მოქალაქის კონსტიტუციურ სარჩელში სუს-ის სააგენტოს უფლებამოსილებების

არაკონსტიტუციურად ცნობის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია. [ამ სარჩელებს](#) საკონსტიტუციო სასამართლო მეშვიდე წელია განიხილავს.

1.1. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა

სსსკ-ის მე-3 მუხლის 36-ე ნაწილის თანახმად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა გულისხმობს “საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩანერას”.

პრაქტიკულ ენაზე, ეს გულისხმობს **მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციას** (GSM ქსელი) და მოიაზრებს ამ კომუნიკაციის მოსმენას რეალურ დროში, მისი მიმდინარეობისას და მის ჩანერას შემდგომი გამოყენებისთვის. ამ ფარული ღონისძიების მოქმედების არეალში არ ვარდება იმგვარი ელექტრონული კომუნიკაცია, რომელიც არა უშუალოდ სატელეფონო, არამედ ინტერნეტ ქსელის გამოყენებით არის განხორციელებული. მაგალითისთვის, ‘Messenger’ აპლიკაციით განხორციელებული კომუნიკაცია არ წარმოადგენს სატელეფონო კომუნიკაციას.

1.2. კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვება

განსხვავებით სატელეფონო კომუნიკაციის შინაარსის მიმდინარე დროში მიყურადებისა და მისი ჩანერისაგან, როდესაც საქმე შეეხება კავშირგაბმულობის არხიდან ან/და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვებას, საუბარია ამგვარ წყაროებში როგორც უკვე არსებული, ისე მიმდინარე რეჟიმში შექმნილი ინფორმაციის მოპოვებაზე. კერძოდ, კავშირგაბმულობის არხში მოიაზრება კავშირგაბმულობის ქსელი, სატელეკომუნიკაციო ან საინფორმაციო სისტემა, რომლიდან მიმდინარე, გადაცემული, მიღებული, შეკრებილი, დამუშავებული ან დაგროვებული ინფორმაციის მოხსნასა და ფიქსაციასაც კანონმდებლობა განსაზღვრავს როგორც დაშვებულ საგამოძიებო მოქმედებას (*სსსკ, მუხლი 3.33*). მსგავს

მოქმედებას გულისხმობს კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვება (სსსკ, მუხლი 3.34). კომპიუტერული სისტემა კი ეწოდება ნებისმიერ მექანიზმს ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფს, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მონყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი) (სსსკ, მუხლი 3.27).

კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვება თავის თავში მრავალფეროვან ინფორმაციასა და მისი მოპოვების განსხვავებულ მეთოდებს აერთიანებს, დაწყებული ინტერნეტტრაფიკის მონაცემიდან, დასრულებული ვიდეობარის ჩანერით. ეს ღონისძიება ფარავს ინტერნეტ ქსელში ან/და ინფორმაციის გამგზავნ, ისევე როგორც მიმღებ მონყობილობაში არსებული ნებისმიერი მონაცემისა თუ ინფორმაციის მოპოვებას (ფოტო, ვიდეო, ტექსტი, ტრაფიკის ინფორმაცია და ა.შ.). დავალების შესასრულებლად სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს ფაქტობრივად ყველა ტიპის ტექნიკური შესაძლებლობა, რაც მას გააჩნია, მათ შორის, ე.წ. ვირუსები (ნორმატიულ ენაზე: “სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა” (სააგენტოს შესახებ კანონი, მუხლი 2. “ზ”). განსახილველი ღონისძიება იმდენად მრავალფეროვანია, რომ ზოგიერთ მათგანს კანონმდებლობა ცალკე ღონისძიებად გამოყოფს - მაგ. გეოლოკაცია (ადგილმდებარეობა) არის კავშირგაბმულობის არხში არსებული ერთ-ერთი ინფორმაცია, რომლის მოპოვება ცალკე საგამოძიებო მოქმედებად არის გამოყოფილი.



სანიმუშოდ, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვების მაგალითი იქნება ე.წ. კომპიუტერული ვირუსის გამოყენებით “WhatsApp” აპლიკაციის საშუალებით განხორციელებული მიმონერის ან ზარის მოპოვება.



კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვების მაგალითია პერსონალურ კომპიუტერში შენახული დოკუმენტის ამოღება.

1.3. გეოლოკაციის/ადგილმდებარეობის რეალურ დროში განსაზღვრა

გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა გულისხმობს იმ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დადგენას, თუ სად იმყოფება კონკრეტული მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობა რეალურ დროში, მისი განსაზღვრის მომენტში. ეს გულისხმობს გეოგრაფიული მდებარეობის მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით განსაზღვრას (სსსკ, მუხლი 2.35). როგორც ზემოთ აღინიშნა, გეოლოკაცია არის საკომუნიკაციო აღჭურვილობის, მაგალითად, სმარტფონის ადგილმდებარეობის განსაზღვრა დროის კონკრეტულ მონაკვეთში, მათ შორის, მიმდინარე (ლაივ) რეჟიმში.



განსახილველი ღონისძიების პრაქტიკული მაგალითია სახელმწიფოსთვის ინტერნეტის მექანე ობიექტის გადაადგილების კონტროლი მისი სმარტფონის საშუალებით.

1.4. უარული ვიდეოჩანერა ან/და აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება

რაც შეეხება ფარულ ვიდეოჩანერას, აუდიოჩანერას ან/და ფოტოგადაღებას, ეს უკანასკნელი გულისხმობს მოქმედების ადრესატის მხრიდან გაუცნობიერებლად მისი გამოსახულების, მოქმედებების, კომუნიკაციის ჩანერას გამოსახულებით ან მის გარეშე, მათ შორის, პრივატულ სივრცეში, როგორც შეიძლება იყოს ადრესატის საცხოვრებელი ადგილი, პირადი ავტომობილი, სამუშაო სივრცე და სხვ. აღსანიშნავია, რომ ფარული ვიდეო ან/და აუდიო ჩანერა, ფოტოგადაღება აუცილებლად არ გულისხმობს პირის ჩანერას კამერით ან ფოტოკამერით. ეს შეიძლება გულისხმობდეს პირის ვიდეო ან/და აუდიოჩანერას, ფოტოგადაღებას ამ პირის კომპიუტერული სისტემების გამოყენებით (მაგ. ლეპტოპის ვიდეოთვალის ან მიკროფონის დისტანციურად გააქტიურებით). აღნიშნული ტექნიკური შესაძლებლობა ფარული ვიდეო/აუდიო ჩანერის, ფოტოგადაღების ერთ-ერთ ფორმად დააიდენტიფიცირა სააგენტოს წარმომადგენელმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N885-1231 სარჩელების არსებითი განხილვის სხდომაზე.



ფარული ვიდეო და აუდიო ჩანერის კლასიკური მაგალითია საცხოვრებელ სივრცეში ფარული კამერებისა და მოსასმენი აპარატურის განთავსება.

2. სუს-ის სააგენტოს ხელთ არსებული ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებათა აღსრულების ტექნიკური შესაძლებლობა

ფარული მეთვალყურეობის განხორციელება, თავის თავში, როგორც წესი, რთული და კომპლექსური ტექნიკური საშუალებების, აპარატურული თუ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას გულისხმობს. ფარული მეთვალყურეობის განხორციელების შესაძლებლობა სახელმწიფოს ყოველთვის გააჩნდა, თუმცა 2014 წლის შემდგომ რადიკალურად გაიზარდა სახელმწიფოს თავისუფალი ნების ფარგლები ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობების თვალსაზრისით. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ ფარული მეთვალყურეობის განხორციელების კანონით დაშვებული ტექნიკური ბღვარი ფაქტობრივად ზოგად ტექნოლოგიურ განვითარებას გაუტოლდა. ეს გამოიწვია, სახელმწიფოსთვის, ამჟამად, სუს-ის სააგენტოსთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების პროვაიდერების ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის, მათი კავშირგაბმულობის ქსელზე პირდაპირი დაშვების მინიჭებამ.

არსებული მდგომარეობით, საქართველოში ავტორიზებული ნებისმიერი ელექტრონული კომუნიკაციის პროვაიდერ კომპანიას აქვს ვალდებულება, საკუთარ ინფრასტრუქტურაზე დაუშვას სუს-ის სააგენტო, რომელიც თავის მხრივ, უფლებამოსილია განათავსოს აპარატურული თუ პროგრამული უზრუნველყოფების ერთობლიობა, რომლებიც მისთვის კანონით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს. მაგალითად, სატელეფონო, თუ ინტერნეტ კომუნიკაციის შინაარსისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება, გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა; ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ერთიანი სისტემის, ე.წ. მონაცემთა ბანკის შექმნა და ა.შ.

პირდაპირი ტექნიკური დაშვებიდან მომდინარე საფრთხეების დაზღვევას კანონმდებლობა ცდილობს არა მხოლოდ პირადი ცხოვრების დაცვის ტრადიციული საპროცესო გარანტიებით (წინასწარი ან შემდგომი სასამართლოს ნებართვა), არამედ, ტექნიკური კონტროლის მექანიზმების გათვალისწინებითაც, მაგ. კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა, რომელიც, რიგ შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს აძლევს სააგენტოს საქმიანობის

ტექნიკური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, მათ შორის, მიმდინარე რეჟიმში. ბუნებრივია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ამ ტექნიკური შესაძლებლობის არამართლობიერი გამოყენება ისევე, როგორც შესაბამისი ფაქტის დამალვა, არის დანაშაული. ხოლო თუ სახელმწიფო დაწესებულებები არ განახორციელებენ საკუთარ ფუნქციას, საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გამოიყენოს მისი საკონტროლო უფლებამოსილებები (მაგ. საგამოძიებო კომისია, იმპიჩმენტი და ა.შ). აღსანიშნავია, რომ სუს-ის სააგენტოსთვის სატელეკომუნიკაციო ქსელების ინფრასტრუქტურაზე პირდაპირი დაშვებიდან მომდინარე საფრთხეები და ამ საფრთხეების არასათანადო კონტროლი გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველი ტექნიკური შესაძლებლობის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი. არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონმდებლობის ჩამნაცვლებელი ნორმები ხელახლა გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში, ვინაიდან სახალხო დამცველი და სამოქალაქო სექტორი ახალ ნორმებს ბუტაფორიულ ცვლილებებად მიიჩნევდნენ. საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელებს მე-7 წელია განიხილავს.

წინამდებარე ანგარიში ეტაპობრივად მიმოიხილავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ პროცედურას და შეაფასებს სუს-ის სააგენტოს ხელთ არსებული ტექნიკური შესაძლებლობების ბოროტად/უკანონოდ გამოყენების პრევენციაზე პასუხისმგებელი ორგანოების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის ხარისხს კანონმდებლობისა და IDFI-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციის/მონაცემების საფუძველზე.


3. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელების მიზანი, სამართლებრივი საფუძვლები და პრაქტიკა

ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელებისთვის დადგენილი საპროცესო რეჟიმი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს უშუალოდ ამ მოქმედებების სახეებს. თითოეული მათგანისთვის იდენტური სამართლებრივი რეჟიმი არის დადგენილი. ამასთან, რამდენადაც ფარული მეთვალყურეობის განხორციელება უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მოპოვების წყაროს წარმოადგენს, იმდენად ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მომეტებული შეზღუდვის საფრთხის შემცველია. ამდენად, მნიშვნელოვანი წინაპირობები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, რომ მისი განხორციელება იყოს მართლზომიერი და შესაბამისად, კანონიერად მიჩნეული.


წინამდებარე ანგარიშის მიზნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალ-ცალკე იქნება მიმოხილული ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელება ერთი მხრივ, გამოძიების, ხოლო, მეორე მხრივ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის.

3.1. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელება გამომიყვის პროცესში

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უზენაეს სასამართლოს ევალება ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, 9300-ზე მეტი შუამდგომლობა იქნა განხილული და მათგან თითქმის 91.7% პროცენტი დაკმაყოფილდა სრულად, ან ნაწილობრივ.



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეეხება ყველა ტიპის ფარულ საგამოძიებო მოქმედებას და არ ამოიწურება კვლევის მეთოდოლოგიაში დაიდენტიფიცირებული საგამოძიებო მოქმედებებით. საანგარიშო პერიოდი, წლების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისთვის, ფარული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებაზე სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს პროკურატურას. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაგზავნილი IDFI-ს განცხადება თავდაპირველად უპასუხოდ იქნა დატოვებული. მხოლოდ ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შემდგომ, ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით IDFI-ს მიენოდა მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემები არასრულად.

პროკურატურის მიერ მონოდედებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ აღნიშნულმა უწყებამ სსსკ-ის 143¹ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი 6 ფარული საგამოძიებო მოქმედებიდან, საანგარიშო პერიოდში, მხოლოდ სამი გამოიყენა. კერძოდ პროკურატურას საერთოდ არ გამოუყენებია შემდეგი ფარული ღონისძიებები:

- გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა;
- საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
- ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით.

3.1.1. ნებართვა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე

ფარული საგამოძიებო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს და ნებართვას გასცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლო პროკურორის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე (სსსკ, მუხლი 143^{3.1}). თუმცა, მაშინ, როდესაც „დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისთვის (გამოძიებისთვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება“, პროკურორი უფლებამოსილია საკუთარი დადგენილებით ჩაატაროს/დაინყოს ფარული საგამოძიებო მოქმედება (სსსკ, მუხლი 143^{3.6}). პროკურორის შუამდგომლობით ამგვარად ჩატარებულ/მიმდინარე ღონისძიებას მხოლოდ დროებითი ხასიათი გააჩნია. პროკურორმა მასზე ავტორიზაცია შესაძლებელია გასცეს მაქსიმუმ 48 საათის ვადით, რომლის ფარგლებშიც, 24 საათის განმავლობაში მან უნდა მიმართოს შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს. ეს უკანასკნელი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ჩატარებული/მიმდინარე ფარული მეთვალყურეობის ღონისძიების კანონიერად ცნობის თაობაზე მისთვის მიმართვიდან 24 საათის ვადაში (სსსკ, მუხლი 143^{3.6}).

მოსამართლის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების თაობაზე განჩინება სასამართლოს მიერ უნდა შედგეს 4 ეგზემპლარად. მათგან ერთი რჩება სასამართლოში, 2 გადაეცემა ღონისძიების გამოყენების

მომთხოვნ პროკურორს ან საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელს, ხოლო დარჩენილი ერთი ეგზემპლარი, რომელიც მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს მოიცავს, სასამართლოს მიერ მიწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. პროკურორის, ან საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლისთვის გადაცემული ორიდან ერთი ეგზემპლარი, ამ უკანასკნელმა მატერიალური სახით უნდა მიაწოდოს სააგენტოს მისი გამოტანიდან დაუყოვნებლივ, თუმცა, არაუგვიანეს 48 საათისა (*სსსკ, მუხლი 143³.5*).

საქართველოს პროკურატურიდან მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქალაქო (რაიონულ) სასამართლოებს პროკურატურისგან სულ წარედგინა შემდეგი რაოდენობით შუამდგომლობები, მითითებულ ფარულ საგამოძიებო ღონისძიებათა განხორციელების მოთხოვნით:

ღონისძიების სახე	2021	2022	2023
სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა	1398	1546	1067
ფარული ვიდეო-ჩაწერა ან/და აუდიო-ჩაწერა	861	1191	1097
კავშირგაბმულობის არხიდან/კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია	8	1	3
სულ	2267	2738	2167

დასახელებული ზოგადი წესიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ადრესატი არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირი, მოსამართლე, ან იმუნიტეტის მქონე პირი. ამ შემთხვევაში, მის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით არის ნებადართული, რომელიც გამოიყენა გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე (*სსსკ, მუხლი 143³.17*). საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გენერალურმა პროკურორმა/მოადგილემ ეს უფლებამოსი-

ლება 8-ჯერ გამოიყენეს ორი ტიპის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად:

სახელმწიფო პოლიციური თანამდებობის ან/და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ჩატარებული ღონისძიებები	2021	2022	2023
სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა	3	1	0
ფარული ვიდეოჩანერა ან/და აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება;	3	1	0

რაც შეეხება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე პროკურორის დადგენილებით განხორციელებულ/დანეხებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას, მოსამართლის მიერ მისი კანონიერად ან უკანონოდ ცნობის თაობაზე განჩინების შესაბამისი უწყებებისთვის გადაცემა ანალოგიურად არის მოწესრიგებული, როგორც ეს მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ღონისძიებების ზემოთ აღწერილ შემთხვევაში ხდება (სსსკ, მუხლი 143³. 7).

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის შემდგომ პროკურატურის მიერ მონოდებული მონაცემები, გარკვეულ ნაწილში, პასუხობდა IDFI-ს საჯარო ინფორმაციის განცხადებას, მოთხოვნილი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც სხვადასხვა ასპექტში ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების ეფექტიანობისა და მართლზომიერების შეფასებისთვის გამოსადეგი იქნებოდა, მოუწოდებელი დარჩა. მათ შორის, პროკურატურის პასუხიდან არ იკვეთება შუამდგომლობების ტიპი (წინასწარი ნებართვის შესახებ არის წარდგენილი თუ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული მოქმედების დაკანონებისთვის), მათი დაკმაყოფილების მაჩვენებელი, თითოეულ შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედების ხანგრძლივობა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები (დანაშაულების სტატისტიკა), რომელთა მიმართებითაც იქნა გამოყენებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

მიუხედავად ამისა, ვინაიდან IDFI-მ ეს მონაცემები სხვადასხვა უწყებისგან მოითხოვა, ჩვენ მაინც შეგვიძლია რამდენიმე ზოგადი დასკვნის გამოტანა. კერძოდ, სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებმაც პროკურატურა საგამოძიებო ზედამხედველობას ახორციელებს, ყველაზე ხშირად სჭირდებათ სასამართლოს ნებართვის მოპოვება, ისევე როგორც სუს-ის სააგენტოს ტექნიკური შესაძლებლობებით სარგებლობა. ამ ორი დაწესებულებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია კი პროკურატურისგან მიღებული ნაკლოვანი ინფორმაციის ირიბად შევსების შესაძლებლობას იძლევა.


სუს-ის სააგენტოს მონაცემებიდან იკვთება, რომ საანგარიშო პერიოდში გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების პროცენტული წილი კლებადია (2021 წელი 9%, 2022 წელი 6%, 2023 წელი 3%):

შარული საგამოძიებო მოქმედების სახე	2021	2022	2023
სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა	1334	1380	998
	92	65	16
ფარული ვიდეო-ჩანერა ან/და აუდიო-ჩანერა	741	918	901
	98	72	37
კავშირგაბმულობის არხიდან/კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია	7	2	1
	0	0	0

■ - მოსამართლის განჩინებით

■ - გადაუდებელი აუცილებლობით

მთლიანობაში, პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის წინა წლების დინამიკაში ანალიზით იკვთება ცვალებადი, თუმცა მზარდი ტენდენცია. (2018-2020 წლის იდენტური ფარული საგამოძიებო მოქმედებების შემაჯამებელი მონაცემები აღებულია IDFI-ს [2021 წლის ანგარიშიდან](#)):




3.1.2. ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ვალები

ბუნებრივია, მოსამართლის განჩინება ფარული საგამოძიებო ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილების, ისევე, როგორც გადაუდებლად დაწყებული ამგვარი ღონისძიების კანონიერად ცნობის თაობაზე, გარდა შინაარსობრივი მსჯელობისა, უნდა მოიცავდეს ისეთ აუცილებელ ელემენტებს, რომელიც კრიტიკული მნიშვნელობის არის თავად ღონისძიების კანონიერად განხორციელების/მისი კონტროლის თვალსაზრისით. კერძოდ, გარდა კლასიკური სამართლებრივი აქტის რეკვიზიტებისა (მაგ: შუამდგომლობის სასამართლოსთვის წარმდგენი პროკურორის დასახელების, სისხლის სამართლის საქმის ნომრისა და სხვა), მასში მოცემული უნდა იყოს ღონისძიების განხორციელების მოსამართლისგან ნებადართული პერიოდი, მისი დაწყებისა და დასრულების თარიღისა და დროის მითითებით (*სსსკ, მუხლი 143³.10*).

ზოგადად, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება 3 ეტაპად, თითოეული ეტაპისთვის მათი განხორციელების მაქსიმალურ ვადად კი განსაზღვრულია 90 დღე. ამასთან, თითოეული ეტაპის თაობაზე მოსამართლე განჩინებას იღებს

პროკურატურის სისტემის სხვადასხვა იერარქიის მქონე პროკურორთა შუამდგომლობების საფუძველზე. კერძოდ, პირველი ეტაპის განხორციელება ხდება პროკურორის შუამდგომლობით, მეორე ეტაპზე გადასვლის თაობაზე მოსამართლე გადაწყვეტილებას ბემდგომი პროკურორის, ხოლო მესამე ეტაპზე - გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობით გამოსცემს. ამასთან, მითითებული 90 დღე არის დაშვებული მაქსიმალური ვადა, რომლის ფარგლებშიც მოსამართლემ საკუთარი განჩინებით შესაძლოა უფრო ნაკლებიც გაითვალისწინოს. ამ დროს, თუკი შესაბამისი გამოძიების მიზნები ვერ იქნა მიღწეული, შესაბამისი ეტაპის მომთხოვნ პროკურორს/ბემდგომ პროკურორს/გენერალურ პროკურორს ან მის მოადგილეს შეუძლიათ მოითხოვონ მისი გახანგრძლივება. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელების ყოველ მომდევნო ეტაპზე გადასვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიმდინარე ეტაპზე ამ ღონისძიების მიზნები ვერ იქნა მიღწეული. ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიების მიზნებისთვის იმდენჯერ შეიძლება 90 დღით გაგრძელდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, რამდენჯერაც ეს შესაბამისი მიზნების მიღწევისთვის იქნება საჭირო. ეს უკანასკნელი მხოლოდ გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის შუამდგომლობის საფუძველზე დაიშვება. ანალოგიური საფუძველით შეიძლება ბემოთ მოყვანილი 3 ეტაპიანი სისტემის ერთჯერადად კიდევ 90 დღის ვადით გაგრძელდება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში *(სსსკ, მუხლი 143³.12-12⁷)*.

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ საანგარიშო პერიოდში ძირითადად ერთჯერადი გახანგრძლივების წესი გამოიყენება. გახანგრძლივება გამოყენებულ იქნა მხოლოდ სატელეფონო და ვიდეო/აუდიო ჩანერის, ფოტოგადაღების ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებთან მიმართებით. კერძოდ, 68% შემთხვევაში გაგრძელდა ფარული სატელეფონო მოსმენა, ხოლო 32% შემთხვევაში ფარული აუდიო/ვიდეო ჩანერა, ფოტოგადაღება.



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემულ გრაფიკში 2022 და 2023 წლის მონაცემები არ ემთხვევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციას. კერძოდ, სამსახურის ინფორმაციით, მას 2023 წელს საგამოძიებო მოქმედების გახანგრძლივების 350 აქტი წარედგინა, ხოლო 2022 წელს 10 თვის განმავლობაში 474 აქტი. ჩვენთვის გაურკვეველია, რა შეიძლება იყოს აღნიშნული ცდომილების განმაპირობებელი გარემოება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს არ წარედგინება კონტრდაზვერვითი მიზნით განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების აქტები, ხოლო საგამოძიებო მოქმედების გახანგრძლივება ყველა სხვა შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს, რომლისთვისაც მიმართვის უფლებამოსილება მხოლოდ პროკურორს გააჩნია (იხ. 5.1. ქვეთავი).

3.1.3. ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის უწყვეტა

რაც შეეხება ფარული საგამოძიებო მოქმედებისთვის განსაზღვრული ვადის ამონურვამდე მის შეწყვეტას, ამ უკანასკნელზე გადაწყვეტილებას გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით იღებს პროკურორი, რომელიც მას დაუყოვნებლივ აცნობებს მოქმედების პრაქტიკულად განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოს, სააგენტოს. ამ გადაწყვეტილების მიღებას კი საფუძველად შესაძლოა დაედოს ისეთი

გარემოებები, როგორც არის ღონისძიების ამოცანების მიღწევა; ამ ამოცანების მიღწევის ობიექტური მოლოდინის არარსებობა, ან თავად მოსაპოვებელი ინფორმაციის არსებითი ბუნების დაკარგვა; თავად გამოძიების ან დევნის შეწყვეტა; მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის გამოცლა, ისევე, როგორც შეჩერებული ღონისძიების შემთხვევაში, შეჩერების საფუძვლების 3 დღეში აღმოუფხვრელობა. დამატებით, დაწყებული ღონისძიების შეწყვეტას შესაძლებელია საფუძვლად დაედოს მოსამართლის განჩინება, რომლითაც უკანონოდ იქნა ცნობილი გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით პროკურორის დადგენილებით დაწყებული საგამოძიებო მოქმედება (სსსკ, მუხლი 143⁶. 1-4).

შარული საგამოძიებო მოქმედების შარუები	2021	2022	2023
სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა	84	109	103
ფარული ვიდეო-ჩანერა ან/და აუდიო-ჩანერა	113	162	197

3.1.4. შარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურება

გამომდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მომეტებულად სენსიტიური ბუნებისა, კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ ინფორმაციის მხოლოდ საჭიროების არსებობის შემთხვევაში შენახვას და განერს გარემოებებს, რომელთა არსებობისას აუცილებელია მათი განადგურება. სპეციალური წესით წესრიგდება საკითხი ინფორმაციის განადგურებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის თაობაზე, რომელიც დაკავშირებულია თავად ინფორმაციის განადგურების საფუძველთან.

კერძოდ, მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ ექვემდებარება განადგურებას ამ ღონისძიების შეწყვეტის ან დასრულების შემდგომ, თუკი გამოიკვეთება, რომ მას გამოძიებისთვის არ გააჩნია ღირებულება. ანალოგიურად, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ინფორმაცია, რომელიც

გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით დაწყებული და შემდგომში მოსამართლის მიერ კანონიერად ცნობილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად არის მოპოვებული, თუკი არ მოხდება ამ ინფორმაციის სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოსთვის წარდგენა. გარდა დასახელებული შემთხვევებისა, აგრეთვე უნდა განადგურდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ის ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს პირის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ მონაცემებს, თუმცა მოიცავს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას (სსსკ, მუხლი 143⁸.5).

ზემოთ დასახელებულ თითოეულ შემთხვევაში, ინფორმაციის განადგურებაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი იმ მოსამართლის ან სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება თავად ღონისძიების განხორციელებაზე, ან რომლის განჩინებითაც იქნა კანონიერად ცნობილი ამგვარი ღონისძიების დაწყება/ჩატარება პროკურორის დადგენილების საფუძველზე (სსსკ, მუხლი 143⁸.5).

	2021	2022	2023
ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურება წლების მიხედვით	19	8	2

რაც შეეხება მოპოვებული ინფორმაციის განადგურების სხვა შემთხვევებს, მათ შორის კანონმდებლობა განერს ორ შემთხვევას - პირველი მათგანი მიემართება მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც მართალია საქმის განმხილველი სასამართლოს წინაშე იქნა წარდგენილი, თუმცა სასამართლომ ის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო, ხოლო მეორე მათგანი ეხება მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც ნივთიერ მტკიცებულებად ერთვის საქმეს.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული დაუშვებლად ცნობილი ინფორმაცია უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ, ამ საქმეზე საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან 6 თვის

შემდეგ. რაც შეეხება საქმეზე ნივთიერი მტკიცებულების სახით დართულ ინფორმაციას, იგი უნდა შეინახოს თავად სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით, რომლის გასვლის შემდგომაც ის დაუყოვნებლივ ექვემდებარება განადგურებას. ორივე დასახელებულ შემთხვევაში, ამ ინფორმაციის განადგურებაზე უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მოსამართლეს/სასამართლოს მოსამართლეს, რომელმაც მიიღო თავად საგამოძიებო მოქმედების ავტორიზაციის, ან გადაუდებელი აუცილებლობით დაწყებული მოქმედების კანონიერად ცნობის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილება *(სსსკ, მუხლი 143⁸.2,3,6)*.

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საერთო სასამართლოების მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების 19 შემთხვევა აღირიცხა, 17 მათგანი თბილისში, ხოლო 2 - ქუთაისში.


3.1.5. პირისთვის უეცყობინაა მის მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედების თაობაზე

ფარული საგამოძიებო მოქმედების ადრესატს ამგვარი ღონისძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია არ გააჩნია და არ მიეწოდება უშუალოდ ღონისძიების განხორციელების პერიოდში. აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ მისი დასრულების შემდგომ *(სსსკ, მუხლი 143⁹.1)*. ამასთან, მსგავსი შეტყობინების გაკეთების ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას, მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების/ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაცვლა სასამართლოს წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე, აგრეთვე, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას *(სსსკ, მუხლი 83.6)*.

ყველა სხვა შემთხვევაში, როგორც სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის, ისე, მისი დასრულების შემდგომ, გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის აცნობოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ადრესატს ამ ღონისძიების ჩატარების, მოპოვებული ინფორმაციის შინაარსისა, თუ მისი განადგურების თაობაზე, იღებს პროკურორი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ

თუკი საქმის დასრულების შემდეგ 12 თვის განმავლობაში მსგავსი გადაწყვეტილება შეტყობინების თაობაზე არ იქნება მიღებული პროკურორის მიერ, ის ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ნებართვის გამცემი მოსამართლის/სასამართლოს მეშვეობით, მისთვის შუამდგომლობით მიმართვის გზით მოიპოვოს ნებართვა შეტყობინების გაკეთების არაუმეტეს 12 თვით გადავადების თაობაზე (სსსკ, მუხლი 143⁹.3,4). პროკურორს შეტყობინების 12 თვით გახანგრძლივების მოთხოვნის უფლებამოსილებით სარგებლობა დამატებით კიდევ 2-ჯერ შეუძლია. ამასთან, კონკრეტულ, პირდაპირ განსაზღვრულ დანაშაულებთან მიმართებით, ამგვარი მოთხოვნის გაკეთების შემლუდვა არ არსებობს და პირისთვის შეტყობინება შესაძლებელია გადავადდეს ხანდაზმულობის ვადის ამონურვამდე (სსსკ, მუხლი 143⁹.5,6).

პროკურატურის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ შეტყობინების გაგრძელების თაობაზე შუამდგომლობების რაოდენობა მაღალი ტემპით იზრდება:



ფარული საგამოძიებო მოქმედების თაობაზე შეტყობინების კუთხით მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ამ ღონისძიებების ადრესატი პირის მიერ მის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული მოსამართლის განჩინების ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობას სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, როგორც შესაბამისი სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე, მისი დასრულების შემდეგ. ამ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში კი, უკანონოდ ცნობილი მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება შესაძლოა ცნობილ იქნეს დაუშვებლად, ან

საფუძვლად დაედოს განაჩენის გადასინჯვას, თუკი მსგავსი მტკიცებულება იქნა მისი მიღებისას გამოყენებული. ორივე შემთხვევაში, თავად ადრესატს შეუძლია მისი პირადი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის დარღვევის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს (სსსკ, მუხლი 143³.14,15).

3.1.6. ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობრივი დაკვირვებები

წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია, ხარისხისა და მათდამი ნდობის თვალსაზრისით, წარმოშობს არაერთ კითხვის ნიშანს. სხვადასხვა უწყებიდან მიღებული მონაცემები არ იძლევა მათი ურთიერთშედარების საშუალებას, შეინიშნება ცდომილებები, რომლებიც მხოლოდ ბუნდოვანი ვარაუდებით შეიძლება აიხსნას. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დაკვირვების გაკეთება მაინც არის შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვნად გააფართოვა იმ დანაშაულთა ნუსხა, რომლებზეც შესაძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკური მაჩვენებელი შესამჩნევად არ შეცვლილა. თუმცა, მნიშვნელოვნად იზრდება ფარული მოსმენის თაობაზე პირის შეტყობინების გადავადების/გახანგრძლივების მაჩვენებლები. ამ ფონზე, ბუნდოვანია, რა იყო ცვლილებების რეალური მიზანი, რომელმაც ადგილობრივი და [საერთაშორისო კრიტიკა](#) დაიმსახურა.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობრივი ანალიზი მიუთითებს, რომ ყველაზე მეტ შუამდგომლობას თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს, რომელზეც სასამართლოთა მიერ განხილული შუამდგომლობების 54.7% მოდის.

სასაპროტო	განხილული	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	არ დაკმაყოფილდა	% დაკმაყოფილდა
თბილისი	5101	4431	274	396	92.24%
რუსთავი	797	755	14	28	96.49%
ზუგდიდი	760	593	39	128	83.16%

გორი	670	661	2	7	98.96%
ქუთაისი	458	410	8	40	91.27%
ბათუმი	403	365	3	35	91.32%
მცხეთა	176	170	3	3	98.30%
თელავი	173	135	1	37	78.61%
ბოლნისი	136	118	2	16	88.24%
ახალციხე	77	74	1	2	97.40%

იმ სასამართლოებიდან, რომელთა მიერ წლის განმავლობაში განხილული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შუამდგომლობების რაოდენობა 10-ზე მეტია დაკმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ამბროლაურის, ცაგერისა და ახალქალაქის სასამართლოები გამოირჩევიან (სრულად დაკმაყოფილების 100%). ასევე გამოსაყოფია გორი 99%-ით.

სსამართლო	განხილულია	დაკმაყოფილდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	დაკმაყოფილების %
ამბროლაური	37	37		100.00%
ცაგერი	31	31		100.00%
ახალქალაქი	28	28		100.00%
გორი	670	661	2	98.96%
ხაშური	66	65		98.48%
მცხეთა	176	170	3	98.30%
სიღნაღი	55	54		98.18%
ახალციხე	77	74	1	97.40%
რუსთავი	797	755	14	96.49%
ოზურგეთი	55	52	1	96.36%

საინტერესო დაკვირვებას გვაძლევს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში სატელეფონო მოსმენის პროცენტული მაჩვენებელი. კერძოდ, იმ სასამართლოებში, სადაც ფარულ მოსმენაზე განხილული შუამდგომლობების რაოდენობა 100-ს აღემატება, მნიშვნელოვნად მერყეობს (15%-დან 50%-მდე) ამ შუამდგომლობებში სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მაჩვენებელი. მაგ. თბილისის შემთხვევაში, ეს ციფრი შეადგენს 43%-ს, რუსთავის შემთხვევაში 15%-ს.

ფარული სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობების ანალიზი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების მიხედვით, მიუთითებს რომ ყველაზე ხშირად ფარული მოსმენა შემდეგი დანაშაულების გამოძიების ფარგლებში ხორციელდება:

საქალაქო მოწყობის მსახურის მიხედვით მსხლი	განხილული	დაკმაყოფილდა	დაკმაყოფილების %
ქურდული სამყაროს წევრობა	653	602	92.19%
თაღლითობა	391	354	90.54%
ნარკოტიკული დანაშაული	247	220	89.07%
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	205	150	73.17%
განზრახ მკვლელობა	189	161	85.19%
ქურდობა	172	112	65.12%
გამოძალვა	122	110	90.16%
ყალბი საკრედიტო ბარათის დამზადება	111	76	68.47%
ქრთამის აღება	102	100	98.04%
ფულის გათეთრება	101	99	98.02%

3.2. კონსტრუქციული საქმიანობის უარგლებში განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები

კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის განხორციელებულ ცალკეულ ღონისძიებებზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ IDFI-ს კვლევის და ანალიზის ობიექტს, ამ ანგარიშის მიზნებისთვის, წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში განხორციელებული ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების გამჭვირვალობის შეფასება. ამდენად, წინამდებარე ანგარიში არ ფარავს სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე, სადაც არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, მიმდინარე ელექტრონულ კომუნიკაციებს შეეხება (სააგენტოს შესახებ კანონი, მუხლი 2. "ა". "ბ").

სისხლისსამართლებრივი და კონტრდაზვერვითი მიზნით განხორციელებული ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებს შორის ძირითადი განმასხვავებელი

ელემენტი არის თავად ფარული ღონისძიებების განხორციელების მიზანი. თუკი გამოძიების ფარგლებში მას უშუალოდ დანაშაულის გამოძიებისთვის სასარგებლო და არსებითი მნიშვნელობის ინფორმაციის მოპოვება ქმნის, კონტრდაზვერვით საქმიანობაში მისი მიზანია იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც საბოლოოდ საფრთხეს უქმნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესს, იქნება ეს პირის კავშირი ტერორისტულ საქმიანობასთან, თუ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა მომზადებასთან/განხორციელებასთან *(კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 10)*. სწორედ ამ მიზნებისთვის, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებათა, მათ შორის, ელექტრონულ თვალთვალის ღონისძიებათა განხორციელებისას მის ამოცანას წარმოადგენს სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება; ან „სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოვლენა და თავიდან აცილება“ *(კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 3)*.

3.2.1. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების საფუძვლები

ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება შესაძლებელია განხორციელდეს, როდესაც არსებობს ინფორმაცია/მონაცემები, რომლებიც უქმნის, ან პოტენციურად, შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს სახელმწიფო უსაფრთხოებას; აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის არსებობა უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ან უცხო ქვეყნის წარმომადგენლობის შესახებ, ან ინფორმაცია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების სადაზვერვო ან/და ტერორისტულ საქმიანობასთან პირის კავშირზე *(კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 10)*.

3.2.2. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებაზე ნაბარძის გაცემა

მსგავსად ფარული საგამოძიებო მოქმედებისა, ელექტრონული თვალთვალის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის ბრძანების, ან

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისად უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც შემდგომში ექვემდებარება კვლავაც მოსამართლის მხრიდან კანონიერად ცნობას/ან კანონიერად ცნობაზე უარის თქმას (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 13, 14*). ამ შემთხვევაშიც, ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მოქმედებს წინა ქვეთავში მოყვანილი ვადები, თუმცა განსხვავებულია უფლებამოსილ პირთა წრე.

კერძოდ, ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება, ისევე, როგორც გადაუდებელი აუცილებლობით დაწყებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების კანონიერად ან უკანონოდ ცნობა, არა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს, არამედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უზენაესი სასამართლოს მოსამართლის (ზედამხედველი მოსამართლე) კომპეტენციაა (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 2. "უ", 13.1, 14.2*).

განსხვავებულია აგრეთვე ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების ინიციატორ სუბიექტთა წრე. კერძოდ, ეს უფლებამოსილება გააჩნია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაზღვრულ დეპარტამენტებს (*„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის სპეციალური სამსახურების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის №448 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხა, პუნქტი 1, 2; ეს დეპარტამენტებია: გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი); კონტრდაზვერვის დეპარტამენტი; ანტიკორუფციული სააგენტო (დეპარტამენტი); კონტრტერორისტული ცენტრი (დეპარტამენტი); სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი და ვ) უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის დეპარტამენტი; ხოლო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში - გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი); სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი და საქართველოს სასაზღვრო პოლიცია), რომლებიც იწოდებიან „სპეციალურ სამსახურად“ (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 2. "ტ"*) და რომელთაც გააჩნიათ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნით უზენაესი სასამართლოსთვის მიმართვის, ან*

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, საკუთარი გადაწყვეტილებით ამ ღონისძიებათა განხორციელების/დანყების უფლებამოსილება (კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 12, 14.1). აღსანიშნავია, რომ როგორც ბრძანების გამოცემის, ისე გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული ღონისძიების კანონიერად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად კანონმდებლობა ვადებს განერს იდენტურად, როგორც გამოძიების მიზნებისთვის განერილი პროცედურების ფარგლებში (იხ. ამ ანგარიშის 3.1.1. ქვეთავი) (კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 13.2, 14.1).

3.2.3. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების სახელმძღვანელო პრინციპები

მსგავსად ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმართაც მნიშვნელოვანია ის პრინციპები რომელსაც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს.

უპირველესად, მითითებულ გადაწყვეტილებაში დასაბუთებული უნდა იყოს იმ გარემოებათა არსებობა, რომელიც შესაძლოა ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებას დაედოს საფუძვლად. ამასთან, ეს უკანასკნელი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ჩატარება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და უნდა იყოს პროპორციული საშუალება. ამასთან, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, ამგვარ ლეგიტიმურ მიზანს, შესაძლოა მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენდეს. მიზანთან ერთად, კონტრდაზვერვით საქმიანობაში ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება აგრეთვე უნდა ასაბუთებდეს, რომ სხვაგვარად ვერ მოიპოვება კონტრდაზვერვითი ინფორმაცია. ეს უკანასკნელი უფრო მკაცრ სტანდარტსა და მოთხოვნას გულისხმობს, ვიდრე ფარული საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევაში არის კანონმდებლობით განერილი, სადაც აგრეთვე შესაძლებელია დასაბუთება, რომ თეორიულად, სხვაგვარი მეთოდით შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება, თუმცა ეს გზა მოითხოვს

გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 12.2*).

დამატებით, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული/დანყვებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების შემთხვევაში, სპეციალური სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართვა მოსამართლისადმი უნდა მოიცავდეს დასაბუთებას ამგვარი გადაუდებელი აუცილებლობის თაობაზე (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14.1*).

3.2.4. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების ვადები

კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების ვადებთან მიმართებით არ მოქმედებს წინა თავში განხილული სამეტაპიანი ვადის გახანგრძლივების სისტემა. უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს ამგვარი ღონისძიების იმ მინიმალური ვადით ჩატარება, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნების მისაღწევად, თუმცა, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. ამ ვადის გახანგრძლივება დასაშვებია ბედამხედველი მოსამართლის გადაწყვეტილებით იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას მოითხოვს ღონისძიების მიზნების შესრულება, თითოეულ ჯერზე, არაუმეტეს 12 თვის ვადისა (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 13.4,5*). მოსამართლის გადაწყვეტილება ემყარება სპეციალური სამსახურის მოტივირებულ შუამდგომლობას, რომელზე მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც უნდა ასახავდეს თავდაპირველი ბრძანების გამოცემისთვის აუცილებელ დასაბუთებას (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 13.5*).

3.2.5. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების მიმდინარეობის შეწყვეტა

მსგავსად ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა, არსებობს გარემოებები, როდესაც დანყვებული ღონისძიების განხორციელება უნდა შეწყდეს. ბუნებრივია, როდესაც მოსამართლის ბრძანება განსაზღვრავს გარკვეულ ვადას, ამ ვადის გასვლა ერთ-ერთ ასეთ შეწყვეტის გარემოებას წარმოადგენს.

თუმცა, ეს არ არის ერთადერთი საფუძველი. ღონისძიების მიმდინარეობა უნდა შეწყდეს აგრეთვე იმ ვითარებაში, როდესაც მისი განხორციელება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით დაიწყოს, თუმცა შემდგომ ზედამხედველმა მოსამართლემ არ ცნო ეს უკანასკნელი კანონიერად. ამ შემთხვევაშიც, ღონისძიების განხორციელება უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14.2, 14⁴.1."გ"*).

გარდა ამისა, ფარული საგამოძიებო მოქმედება უნდა შეწყდეს იმ შემთხვევებში, როდესაც შესრულდა ზედამხედველი მოსამართლის ბრძანებით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების ამოცანა (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14⁴.1."ა"*). ამ შემთხვევაში, შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14⁴.2*). ღონისძიების განხორციელების ვადამდე შეწყვეტა აგრეთვე დაიშვება, როდესაც დადგინდება, რომ მოპოვებულ ინფორმაციას კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის აღარ გააჩნია არსებითი მნიშვნელობა, ან განსაზღვრული ამოცანის მიღწევა ობიექტურად შეუძლებელია (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14⁴.1."ბ"*). ამ შემთხვევაში, შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია როგორც სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის, ისე ზემდგომი მოსამართლის მიერ (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14⁴.3*).

3.2.6. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურება

ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების მიმდინარეობის შეწყვეტის/დასრულების პარალელურად დღის წესრიგში დგება ამ ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების საჭიროება და აუცილებლობა.

ზოგადი წესის თანახმად, ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული იმგვარი ინფორმაცია, რომელსაც არ გააჩნია ღირებულება თავად ამ ღონისძიებათა ამოცანებისთვის, უნდა განადგურდეს სპეციალური

სამსახურის ხელმძღვანელის მიერ და ზედამხედველი მოსამართლის თანდასწრებით. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი მოპოვებული ინფორმაცია იმავდროულად არ გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14⁹.1*).

გარდა ამისა, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით დაწყებული ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს, თუკი ამ ღონისძიებას კანონიერად არ ცნობს ზედამხედველი მოსამართლე (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14.2*).

3.2.7. პირისთვის შეტყობინება მის მიმართ განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის თვალთვალის ღონისძიებების შესახებ

კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების დასრულების შემდგომ, ღონისძიების განხორციელების თაობაზე ადრესატი პირისთვის შეტყობინება სავალდებულოა. თუმცა, ეს უკანასკნელი ვალდებულება არსებობს მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავად შეტყობინება აღარ მიაყენებს ზიანს ღონისძიების მიზანს. ამასთან, დაუშვებლად არის გამოცხადებული შეტყობინების გაკეთება ისეთ ვითარებაში, როდესაც შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამჟღავნებამ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ეროვნულ უსაფრთხოებასა თუ დემოკრატიულ წყობილებას; აგრეთვე მაშინ, როდესაც ინფორმაციისა და ინფორმაციის მოპოვების მეთოდების გამჟღავნება საფრთხეს უქმნის თავად კონტრდაზვერვითი საქმიანობის ამოცანებს (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14¹⁰.1,2*).

პირისთვის შეტყობინების გაკეთებაზე გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი (*კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14¹⁰.3*). საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების თაობაზე პირისთვის შეტყობინების გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, ეს უკანასკნელი მაინც ვალდებულია მიმართოს მოსამართლეს, თუკი 12 თვის განმავლობაში არ მიიღებს შეტყობინების გაკეთების თაობაზე გადაწყვეტილებას. სწორედ მოსამართლის ნებართვას საჭიროებს

პროკურორი იმისთვის, რომ დასახელებული 12 თვიანი ვადის შემდგომი გახანგრძლივება/გადავადება მოხდეს. თუმცა, მსგავსი სასამართლოს კონტროლი საერთოდ არ გვხვდება კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების თაობაზე შეტყობინებასთან მიმართებით. შესაბამისად, ამ დროს პირისთვის შეტყობინების გაკეთება სრულად არის დამოკიდებული სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელზე.

3.2.8. კონსტრუქციითი მიზნით განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა

პროექტის ფარგლებში, IDFI-მ საჯარო ინფორმაციის სახით სუს-ის სააგენტოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან მოითხოვა 2021, 2022 და 2023 წლებში “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის განხორციელების შესახებ სტატისტიკური მონაცემები. საჯარო ინფორმაციის განცხადებებზე პასუხების მიხედვით, უნდა შეფასებულიყო, რამდენად რეალისტურია ამ ღონისძიებების გამოყენების შესახებ დამაჯერებელი დასკვნების გაკეთება.

ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების შესახებ სტატისტიკური მონაცემების მისაღებად IDFI-მ მიმართა ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს. საჯარო ინფორმაციის განცხადების ერთი ნაწილი ეხებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მონაცემებს (დეტალურად, იხ. 3.1.1. ქვეთავი), ხოლო მეორე ნაწილი - კონტრდაზვერვითი მიზნით განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებებს. კერძოდ, მოთხოვნილი იყო ამ ღონისძიებების ჩატარების შესახებ სააგენტოში შესული უზენაესი სასამართლოს ბედამხედველი მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანებების რაოდენობა, როგორც წინასწარი ნებართვის, აგრეთვე გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე (ცალ-ცალკე, ელექტრონული თვალთვალის სახეების, წლებისა და სპეციალური სამსახურების მიხედვით).

სააგენტომ IDFI-ს მიაწოდა მხოლოდ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ინფორმაცია, ხოლო **კონტრდაზვერვითი მიზნებით განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების შესახებ მოთხოვნა რეაგირების გარეშე დატოვა.**

IDFI-მ ამ მონაცემების მოპოვება საქართველოს უზენაესი სასამართლოსგანაც სცადა. კერძოდ, მოთხოვნილი იყო უზენაესი სასამართლოს ზედამხედველ მოსამართლესთან წარდგენილი შუამდგომლობების სტატისტიკა, მათი დაკმაყოფილების მაჩვენებელი, აგრეთვე, ამ ღონისძიებების შეჩერება/შენწყვეტის მექანიზმის გამოყენების სტატისტიკა და იმ მოსამართლ(ებ)ის სახელი და გვარი, რომლებიც “ზედამხედველი მოსამართლის” ფუნქციას ასრულებენ. უზენაესმა სასამართლომ IDFI-ს არ მიაწოდა ეს ინფორმაცია, რის შემდგომაც, IDFI-მ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სასამართლოს. უზენაესი სასამართლოს მენეჯერის გადაწყვეტილებით (2024 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №-251-24.) საჩივარი (კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნით განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების ნაწილში) არ დაკმაყოფილდა. **უზენაესმა სასამართლომ ელექტრონულ თვალთვალთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემები და ზედამხედველი მოსამართლ(ებ)ის ვინაობა სახელმწიფო საიდუმლოებად მიიჩნია.**

აღსანიშნავია, რომ **სასამართლო გაფართოებულად, “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესების დაუსვლელად ავრცელებს სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმს ნებისმიერ (მათ შორის, სტატისტიკურ) ინფორმაციაზე, რომელიც კონტრდაზვერვით საქმიანობას ეხება.** უზენაეს სასამართლოს არ წარმოუდგენია კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი, საიდუმლოობის გრიფი თუ სხვა დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ IDFI-ს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კანონით დადგენილი წესითა და პროცედურით გასაიდუმლოვდა.

საჯარო ინფორმაციის მოპოვების მცდელობამ აჩვენა, რომ ელექტრონულ თვალთვალთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაციის (მათ შორის,

ყველაზე საბაზისო სტატისტიკური მონაცემების) მიღება არის პრობლემური და კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით, რაიმე ტიპის შინაარსობრივი თუ რაოდენობრივი დასკვნის გაკეთების სივრცე, ამ თვალსაზრისით, არის ჩაკეტილი.

4. ზარულ მეთვალყურეობაზე სასამართლო ხელისუფლების კონსტროლის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის შეფასება

პროექტის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილი ინფორმაციის მეორე კატეგორიას წარმოადგენდა ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებზე სასამართლო კონტროლის ფარგლებში გამოცემული სასამართლო აქტები – ფარული საგამოძიებო მოქმედების თაობაზე მიღებული განჩინებები და “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის თაობაზე მიღებული ბრძანებები.

IDFI-ს ინტერესის საგანს წარმოადგენდა ამ აქტების ხელმისაწვდომობის შეფასება და იმის გამოკვლევა, თუ რამდენად არის გამჭვირვალე და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სასამართლოს მიერ ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების ნებართვის/კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული სამართლებრივი და მტკიცებულებითი სტანდარტები, ძირითადი უფლების დაცვის მასშტაბები და, ზოგადად, სასამართლო კონტროლის ეფექტიანობის ხარისხი. ამ მიზნით, IDFI-ს მიერ გამოთხოვილი იყო სასამართლო აქტები იმგვარად, რომ გამოერიცხა უარის თქმის შესაძლებლობა სახელმწიფო საიდუმლოების თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების თვალსაზრისით.

4.1. ზარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი

საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს საერთო სასამართლოების მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ განხილული შუამდგომლობების, დადგენილებებისა და მიღებული სამართლებრივი აქტების სტატისტიკის შეგროვება/დამუშავებაზე პასუხისმგებელ უწყებას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹⁰ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, “საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული

სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ: ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია...”.

IDFI-მ საჯარო ინფორმაციის სახით საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან გამოითხოვა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან და “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონიდან გამომდინარე მთელი რიგი ინფორმაცია სხვადასხვა შინაარსობრივი/თვისებრივი და რაოდენობრივი კატეგორიების მიხედვით. სახელდობრ, მოთხოვნილი იყო 2021, 2022 და 2023 წლებში საერთო სასამართლოების მიერ განხილული შუამდგომლობების/გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მიღებული დადგენილებების განხილვის სტატისტიკა, მათი დაკმაყოფილების მაჩვენებელი თითოეული სასამართლოს, საგამოძიებო მოქმედების სახისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების (დანაშაულების) მიხედვით. აგრეთვე, ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედების გახანგრძლივების, შეტყობინების გადავადებისა და მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ. გარდა ამ სტატისტიკური მონაცემებისა, IDFI-ს ინტერესის საგანს წარმოადგენდა აგრეთვე ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მარეგულირებელი ყველა სამართლებრივი აქტი (სამართლებრივი წყარო), მეთოდოლოგია და მისი მომწესრიგებელი ყველა ოფიციალური დოკუმენტი.

უზენაესმა სასამართლომ IDFI-ს საჯარო ინფორმაციის განცხადება არ დააკმაყოფილა. სასამართლოს წერილი შეიცავდა მხოლოდ ბოგად მითითებას, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია განთავსებულია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე. რაც შეეხება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებებსა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მარეგულირებელი აქტ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული საკითხი რეაგირების გარეშე დარჩა (*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 24 მაისის წერილი №386-24*).

IDFI-მ ადმინისტრაციული საჩივრის გზით გაასაჩივრა უზენაესი სასამართლოს პასუხი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჩივარი დაკმაყოფილდა

ნაწილობრივ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს მენეჯერის 2024 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №-251-24). **ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მარეგულირებელ აქტებთან მიმართებით აღინიშნა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ აქვს მიღებული მსგავსი ტიპის ბრძანება/მეთოდოლოგია, თუ სხვა სახელმძღვანელო ინსტრუქცია.** ერთადერთ სამართლებრივ წყაროს, ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹⁰ მუხლი. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სტატისტიკასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალა ამ სტატისტიკური მონაცემების მოწოდება. ხოლო კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნით განხორციელებული ელექტრონული თვალთვალის ნაწილში, საჩივარი არ დაკმაყოფილდა (იხ. 3.2.8. ქვეთავი).

4.2. სასამართლო კონტროლის უზენაესი უზენაესი მსჯელობა: პირველი ინსტანსია

IDFI-ს საჯარო ინფორმაციის განცხადებების ერთი ნაწილი ეხებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ გამოცემულ სასამართლო აქტებს, კერძოდ განჩინებებს ამ მოქმედებების ჩატარების ნებართვის გაცემის, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ღონისძიებების კანონიერად/უკანონოდ ცნობის თაობაზე, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს გასაჩივრებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შეფასების თაობაზე.

ამ გზით, IDFI-ს უნდა შეეფასებინა, რამდენად არის რეალური ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე სასამართლო კონტროლის ეფექტიანობის გამოკვლევა, რამდენად თანხვედრაშია სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლებრივი არგუმენტაცია ადამიანის ძირითადი უფლებების სამართალსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, რა მტკიცებულებითი მასშტაბით ხელმძღვანელობს სასამართლო და როგორ იცავს ბალანსს კონსტიტუციურ სიკეთებს შორის.

ზემოთ დასახელებული საკითხების გამოკვლევის/შეფასების მიზნით, IDFI-მ საჯარო ინფორმაციის განცხადებები გააგზავნა საქართველოში მოქმედ ოთხ საქალაქო სასამართლოში (თბილისის, რუსთავის, ბათუმის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები). აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის ორი მოთხოვნა გაიგზავნა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში.

4.2.1. პირველი ინსტანციის სასამართლოებთან გაგზავნილი მოთხოვნები

IDFI-მ ოთხ საქალაქო სასამართლოში 2024 წლის 23 აპრილს გააგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები. ზოგადად, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, მათი სპეციფიკურობის (ფარულობის) გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმის წარმოების და საქმის მასალების მიმართ მოქმედებს განსაკუთრებული რეჟიმი. თუმცა IDFI-ს განცხადებები იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ გამოთხოვილი იყო არა აბსტრაქტულად ყველა განჩინება, არამედ მხოლოდ ის განჩინებები, სადაც გამოძიების ან/და სხვა ყოველგვარი ლეგიტიმური ინტერესი განჩინების საიდუმლოდ მიჩნევისთვის გაქარწყლებულია ან/და განჩინებაზე დადებული სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი ამა თუ იმ საფუძვლით (იქნება ეს ვადის გასვლა, ავტომატური გაუქმება, გამოძიების დასრულების, ინფორმაციის განადგურების, ადრესატის შეტყობინების, თუ სხვა საფუძვლის გამო საიდუმლოების გრიფის მოხსნა თუ სხვ.) აღარ იყო სამართლებრივი ძალის მქონე.

IDFI-ს მოთხოვნები შეიცავდა სპეციალურ მითითებას, რომ ინფორმაციის შეგროვება/დამუშავებისთვის საჭირო დროის, თუ ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, განმცხადებელი მზად იყო ინფორმაცია მიეღო შეთანხმებული პერიოდულობით, მათ შორის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის მაქსიმალური ვადის მიღმა.

4.2.2. საერთო სასამართლოების პოზიცია

IDFI-ს მოთხოვნა არც ერთმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ოთხივე შემთხვევაში, სამართლებრივი არგუმენტაცია იყო იდენტური – წარმოადგენდა

ბლანკეტურ უარს, მხოლოდ ზოგადი მითითებით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონზე. სასამართლოებმა IDFI-ს მიერ მოთხოვნილი აბსოლუტურად ყველა განჩინება მიიჩნიეს სახელმწიფო საიდუმლოებით დაცულად. განსხვავებული შემთხვევა იყო მხოლოდ რუსთავის საქალაქო სასამართლოსთან მიმართებით, სადაც სასამართლომ, კონკრეტული ტიპის აქტებთან დაკავშირებით (რომლებიც ეხებოდა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული მოქმედებების უკანონოდ ცნობის განჩინებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის გამო განადგურებულ ინფორმაციას), აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევა არ ჰქონიათ, ხოლო დანარჩენ განჩინებებთან მიმართებით, იდენტურად, სახელმწიფო საიდუმლოებაზე მითითებით, უარი განაცხადა აქტების გაცემაზე.

არც ერთი პასუხით არ იქნა მოწოდებული დასაიდუმლოების გრიფის რეკვიზიტები - ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც ადასტურებს ინფორმაციის კანონით დადგენილი წესით საიდუმლოებისადმი მიკუთვნებას (მათ შორის, დასაიდუმლოების თარიღი, საიდუმლოობის ხარისხი და ვადა). ამგვარი კანონისმიერი აქტების არსებობის შემთხვევაშიც კი, IDFI-ს განცხადებით დატოვებული იყო სივრცე სასამართლოებისთვის, რომ მათ გამოეცალკევიანათ ეს კონკრეტული ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოების საფუძვლით და გაეცათ მხოლოდ ის განჩინებები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას არ ან აღარ მიეკუთვნება.

პროექტის გუნდმა თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების პასუხები ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა - 2024 წლის 28 მაისის ადმინისტრაციული საჩივრებით. საჩივრებზე ზეპირი განხილვის ფარგლებში, ორივე სასამართლოს არგუმენტაცია პრაქტიკულად იმეორებდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის წერილებით გაცხადებულ პოზიციას.

სამართლებრივი დაშვების დონეზეც, სასამართლოებმა პრაქტიკულად შეუძლებლად მიიჩნიეს ამ ტიპის განჩინებებზე ხელმისაწვდომობა, მიუხედავად დასაიდუმლოების ვადის გასვლის, თუ სხვა ობიექტური გარემოების (სახელმწიფო საიდუმლოებით დაცული ინტერესის მიზნის მიღწევა/ამონურვა) დადგომისა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი პირს არ აქვს სპეციალური დაშვება მინიჭებული “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონით

ან/და პროკურატურის მიერ არ არის მიღებული ამ ინფორმაციის განსაიდუმლოების სპეციალური აქტი. სხვაგვარად, სასამართლომ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა აბსტრაქტულად გაავრცელა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მიღებულ ყველა განჩინებაზე, მათ შორის, ისეთ აქტებზეც, რომლებიც კანონის შესაბამისად განსაიდუმლოებული უნდა იყოს.

რაც შეეხება სახელმწიფო საიდუმლოების გრიფს და მის რეკვიზიტებს, სასამართლოების წარმომადგენლებმა ვერც ადმინისტრაციული საჩივრების ბეპირი განხილვის ფარგლებში ვერ წარმოადგინეს ჩვენ მიერ მოთხოვნილ განჩინებებზე დადებული სახელმწიფო საიდუმლოების გრიფის მონაცემები და დასაიდუმლოების ვადები. კეთდებოდა მხოლოდ ზოგადი მითითება, რომ საქმეები განიხილება “საიდუმლო წარმოებით”.

აღსანიშნავია, რომ როგორც თბილისის, ასევე რუსთავის საქალაქო სასამართლოებმა, სასამართლო განჩინებების შენახვის/განსაიდუმლოების, მათი გაცემის პროცესზე სრულ პასუხისმგებელ უწყებად პროკურატურა დაასახელეს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა, საჩივრის განხილვის სხდომაზე დამატებით აღნიშნა, რომ სასამართლო პერიოდულად ითხოვს ხოლმე მის მიერ მიღებული განჩინებების განსაიდუმლოებას პროკურატურისგან. განხილვის დროს მხარემ წარმოადგინა კიდევ რუსთავის საქალაქო სასამართლოს ბოლო ასეთი წერილი პროკურატურისადმი, სადაც მოთხოვნილი იყო ათეულობით აქტზე საიდუმლოების გრიფის მოხსნა, თუმცა, როგორც სასამართლოს წარმომადგენელმა აღნიშნა, როგორც წესი, პროკურატურა არ რეაგირებს ამ წერილებზე და მათთვის უცნობია განსაიდუმლოვდა თუ არა ეს დოკუმენტები. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ საერთო სასამართლოების პარალელურად, IDFI-მ ეს სასამართლო აქტები ასევე გამოითხოვა პროკურატურისგანაც. პროკურატურის 2024 წლის 25 აპრილის წერილით No13/28095 გვეცნობა, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებებთან დაკავშირებით უნდა მივმართოთ სასამართლოს.

ორივე საჩივართან დაკავშირებით დადგა იდენტური სამართლებრივი შედეგი, არ დაკმაყოფილდა.

4.2.3. სამართლებრივი უზუსტობა

საერთო სასამართლოების სამართლებრივი პოზიცია იმ განჩინებების დეპერსონალიზებულ ტექსტზე სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის აბსტრაქტულად გავრცელების თვალსაზრისით, რომელთა სამართლებრივი ღირებულება სამართალწარმოების და თუ სხვა ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად უკვე ამონურულია, ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს და ფაქტობრივად სპობს ნებისმიერ შესაძლებლობას, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით სასამართლოების მიერ გამოყენებული სამართლებრივი სტანდარტები/არგუმენტაცია.

ზოგადად, სახელმწიფო საიდუმლოება ნამდვილად წარმოადგენს დაცვის ღირს სამართლებრივ სიკეთეს, თუმცა მისი დაცულობა ამოიწურება იმ ლეგიტიმური მიზნით, რომლისთვისაც ინფორმაცია დასაიდუმლოვდა და კანონით დადგენილი ვადებით. ინფორმაციის დასაიდუმლოების პროცესი მკაცრად არის შეზღუდული კანონიერების პრინციპით. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისადმი მიკუთვნება ექვემდებარება კანონიერების, დასაბუთებულობისა და დროულობის პრინციპებს. ხოლო, ამა თუ იმ ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისადმი მიკუთვნება დასტურდება უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელსაც უნდა გააჩნდეს შესაბამისი რეკვიზიტები, მათ შორის, მიღების თარიღი, საიდუმლოების ხარისხი და იმ ინფორმაციის ამომწურავი დახასიათება, რომელსაც ედება საიდუმლოების გრიფი.

კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია შეზღუდვის გავრცელება იმგვარ ინფორმაციაზე, რომელიც სცდება „კანონით დადგენილი წესით“ დასაიდუმლოების სტანდარტს - კანონი არ უშვებს „სახელმწიფო საიდუმლოების“, როგორც ინფორმაციის გაუცემლობის ზოგად/აბსტრაქტულ საფუძვლად გამოყენების შესაძლებლობას.

ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა ხდება კონკრეტული საფუძვლითა და კონკრეტული ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად. ფარული

საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევაში, საქმის დახურულ სასამართლოს სხდომაზე განხილვისა და საქმის მასალების, მათ შორის სასამართლო აქტების „დახურულობის“ ლეგიტიმურ ინტერესად გამოდის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ეფექტიანი წარმოება, რაც გამომდინარეობს ღონისძიების ბუნებიდან - ფარულობიდან.

საერთო სასამართლოები სახელმწიფო საიდუმლოების დაცულობას ავრცელებენ იმგვარ განჩინებებზეც, სადაც, ნებისმიერი სამართლებრივი ლოგიკით დასაცავი ლეგიტიმური ინტერესი უკვე გაქარწყლებულია და ინფორმაცია, თავისი შინაარსით, აღარ უნდა მიეკუთვნებოდეს სახელმწიფო საიდუმლოებას.

სახელდობრ, საჯარო ინფორმაციის განცხადების სხვადასხვა პუნქტებით მოთხოვნილი იყო განჩინებები ისეთ საქმეებზე, რომლებზეც ან სამართალწარმოება დასრულებულია, ან პირს უკვე მიენოდა მის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია, ან მოპოვებული ინფორმაცია, კანონსაწინააღმდეგოდ ცნობის თუ სხვა მიზეზის გამო, განადგურდა ან/და სხვა გარემოებების გამო აღარ არსებობს ის საფუძველი, რომელიც „სახელმწიფო საიდუმლოებით“ ინფორმაციის დაცვის საფუძვლად გამოდიოდა.

რაც შეეხება სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ აქვს გავლენა და განჩინებების განსაიდუმლოება მთლიანად პროკურატურის სფეროში ექცევა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების ერთ-ერთი სავალდებულო რეკვიზიტია საიდუმლოების აღმნიშვნელი გრიფი (*სსსკ, მუხლი 143³.10*). სასამართლოსთვის შეუძლებელია, რომ ცნობილი არ იყოს განჩინების განსაიდუმლოების თარიღი, საიდუმლოების ხარისხი და ვადა.

“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, განსაიდუმლოების უმთავრესი საფუძველი არის “დასაიდუმლოების დადგენილი ვადის გასვლა” (*“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 16.1.“ვ”*). ამ ვადის გასვლამდე, კანონი აგრეთვე განსაზღვრავს - “ობიექტური გარემოების შეცვლას, რის გამოც საჭირო აღარ არის იმ ინფორმაციის დაცვა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებაა” (*“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს*

კანონი, მუხლი 16.1.“ბ”). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, განსაიდუმლოების უფლებამოსილება უპირველესად აქვს გრიფის დამდებ ორგანოს (სასამართლოს), ხოლო ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით, აგრეთვე პროკურორსაც (*“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონი, 17.4*). სხვაგვარად, სასამართლოს მიერ ამ პროცესში პროკურატურაზე სრული პასუხისმგებლობის გადატანა არ არის კანონიერი. რომც დავუშვათ, რომ ყველა განჩინებას შემდგომში, “ობიექტური გარემოებების დადგომის გამო” განასაიდუმლოებს პროკურატურა, სასამართლოში, როგორც მინიმუმ, ინახება ისეთი განჩინებებიც, რომლებზეც ყოველგვარი სამართალწარმოების თუ დასაიდუმლოების მაქსიმალური ვადები გასულია და არ საჭიროებს დამატებით, პროკურორის რაიმე ტიპის აქტს.

აქედან გამომდინარე, სასამართლო უკანონოდ ბლუდავს ხანდაზმულ და საგამოძიებო მიზნებისთვის არარელევანტური განჩინებების ტექსტებზე ხელმისაწვდომობას. *“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონის* არასწორი გამოყენებით აბსტრაქტულად კრძალავს ამ განჩინებების რაიმე ფორმით ან/და მოცულობით გაცნობის შესაძლებლობას.

4.3. სასამართლო კონსტრუქციის უზაქციანოების უზაქციანოების მსჯელობა: მეორე ინსტანცია

IDFI-მ აგრეთვე თითო-თითო მოთხოვნა გააგზავნა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებთან. განსხვავებით პირველი ინსტანციის სასამართლოებისგან, ამ შემთხვევაში, არ იქნა შერჩეული სპეციფიკური ფორმულირება – დაკავშირებულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან ან/და სახელმწიფო საიდუმლოების პოტენციური რისკის დაზღვევასთან დაკავშირებით. მოთხოვნილი იქნა სასამართლოს მიერ მიღებული ბოლო 5 გადაწყვეტილება ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ (პერსონალური მონაცემებისა და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე).

აღნიშნული გამომდინარეობდა სააპელაციო ინსტანციაში სამართალწარმოების საფუძვლებისა და პროცედურის სპეციფიკიდან. სახელდობრ,

სააპელაციო სასამართლოში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით საქმის განხილვას წინ უძღვის საგამოძიებო მოქმედების ინფორმირებული ადრესატის საჩივარი - როდესაც პირი სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ან მისი დასრულების შემდგომ გაიგებს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე და ასაჩივრებს მის შედეგებს, პირადი ცხოვრების უფლების აღდგენისა და საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის მიზნით.

ამგვარად, სააპელაციო სასამართლოს ეტაპზე, დღის წესრიგში აღარ დგას გამოძიების ეფექტიანობისა და საგამოძიებო მოქმედების ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო საიდუმლოებით განჩინების დაცვის საჭიროება. მეტიც, ეს გამომდინარეობს კიდევ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დანაწესებიდან. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში გამოიყენება საქმის განხილვის ზოგადი წესები - მხარეთა მონწევით, ღია სასამართლო სხდომაზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-16 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება.

არც თბილისის და არც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა არ მოგვანოდეს მოთხოვნილი გადაწყვეტილებები. ორივე შემთხვევაში პასუხი იყო იდენტური - “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონზე ზოგადი მითითება.

IDFI-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს უარი გაასაჩივრა ადმინისტრაციული წესით. IDFI-მ მოთხოვნილი ინფორმაცია ვერც გასაჩივრების შედეგად მიიღო, თუმცა საჩივრის ზეპირი განხილვის სხდომაზე სასამართლოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლოში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით საჩივრები შემოდის და **განიხილება “საიდუმლო წესით” - დახურულ სხდომაზე. საჩივრის განხილვის ფარგლებში IDFI-სთვის ცნობილი გახდა, რომ სააპელაციო სასამართლო, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საჩივრის განხილვისას, ანალოგიის წესით, იყენებს პირველი ინსტანციისთვის დადგენილ პროცედურას (დახურულ სხდომაზე).**

სასამართლოს პოზიციით, რადგანაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ექსპლიციტურად არ მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოში საჩივარი ღია სხდომაზე უნდა იქნეს განხილული, კანონმდებლობა სასამართლოს “არ ავალდებულებს სხდომის გახსნას” და აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობს კოდექსის 143³ მუხლის მე-5 ნაწილით - პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის ზოგადი წესით.

სააპელაციო სასამართლოში ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ საქმის განხილვის ინიციატორი არის პირი, რომელსაც ან სამართალწარმოების დასრულების შემდგომ, საქმის მწარმოებელი პროკურორის გადაწყვეტილებით ეცნობა მის მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ და, მათ შორის, განემარტა გასაჩივრების წესი, ან მიიღო ეს ინფორმაცია სხვა წყაროდან. სააპელაციო სასამართლოში დავა მიდის მხოლოდ ამ მოქმედების კანონიერება/უკანონობისა და პირის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თაობაზე. ამ დროს, სახელმწიფო საიდუმლოებით დაცული ინტერესი - საგამოძიებო მოქმედების ფარულობის უზრუნველყოფა, უკვე გაქარწყლებულია.

ფორმალურადაც, სამართალწარმოების დასრულების შემდგომ, ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ პირის შეტყობინებას შეუძლებელია, წინ არ უძღოდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე (იქნება ეს პროკურატურა თუ სასამართლო) სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის შეცვლა.

აღნიშნულის გამოხატულებაა, თავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ დადგენილი განსხვავებული პროცედურა, რაც ნათლად მიუთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დახურულობის მიმართ ინტერესის სხვაობაზე - თუკი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შუამდგომლობა დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება, ხოლო განჩინება დგება ოთხ ეგზემპლარად და გადაეცემათ კანონით განსაზღვრულ სუბიექტებს, კოდექსის 143³ მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო

სასამართლო უზრუნველყოფს მომჩივნის და ბრალდების მხარის მონაწილეობას საჩივრის განხილვაში და საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება.

სასამართლოს არ შეუძლია თვითნებურად გაავრცელოს სასამართლო სხდომის დახურულობის წესი ისეთ საქმეებზე, რის შესახებაც კანონი პირდაპირ ჩანაწერს არ შეიცავს. სააპელაციო სასამართლოს ინტერპრეტაცია, რომ რადგანაც კოდექსის 143³ მუხლის მე-15 ნაწილი ექსპლიციტურად არ ამბობს, რომ საჩივარი უნდა იქნეს განხილული ღია სხდომაზე და ანალოგიის წესით ხელმძღვანელობს პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის დადგენილი დახურული განხილვის პროცედურით, ჩვენი აზრით, არსებითად ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს და არამართლზომიერად აფართოებს სასამართლო სხდომის დახურულობის საკანონმდებლო საფუძვლებს.

4.4. კონსტრუქციით საქმიანობაზე განხორციელებული სასამართლო კონსტროლის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის მსახურები

პროექტის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილი სასამართლო აქტების მეორე კატეგორია იყო უზრუნველყოფის სასამართლოს ბრძანებები - “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ნებართვის შესახებ. რადგანაც, ზოგადი წესით, აღნიშნული ბრძანებების მიღების შესახებ შუამდგომლობას უზრუნველყოფის სასამართლოს ზედამხედველი მოსამართლე განიხილავს დახურულ სხდომაზე და ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტების (შუამდგომლობა, ბრძანება და სხვა) მიმართ მოქმედებს საიდუმლოების დაცვის რეჟიმი, IDFI-მ მოითხოვა მხოლოდ ისეთი ბრძანებები, რომლებსაც:

1. არ ადევს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საიდუმლოების გრიფი ან/და განცხადების წარდგენის მომენტისთვის გასულია დასაიდუმლოების ვადა;

2. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განხორციელდა პირის შეტყობინება მის მიმართ ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების ჩატარების შესახებ.

IDFI-ს მოთხოვნის საგანი იყო მხოლოდ ისეთი ბრძანებები (პერსონალური და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე – მხოლოდ სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში), რომელთა სახელმწიფო საიდუმლოებით დაცვის სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს და ფორმალურადაც, საიდუმლოების ვადის გასვლის ან/და განსაიდუმლოების შესახებ სპეციალური აქტის გამოცემით, აღარ წარმოადგენს საიდუმლოებით დაცულ ინფორმაციას.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონზე მითითებით, უარი გვითხრა ინფორმაციის მოწოდებაზე.

IDFI-მ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა უზენაესი სასამართლოს პასუხი. საჩივრის განხილვის ეტაპზეც, უზენაესი სასამართლოს პოზიცია არ შეცვლილა. მეტიც, სასამართლოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შესაძლოა, მოსამართლის ბრძანებაზე საერთოდ არ იყოს აღნიშნული დასაიდუმლოების ვადა, ვინაიდან “ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე” წინასწარ შეუძლებელია განისაზღვროს ამ მოქმედების ხანგრძლივობა.

“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონით, საიდუმლოების დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია მისი დროულობა. ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოების წესით შეიძლება იქნეს დაცული მხოლოდ “კანონით დადგენილი წესით”, კონკრეტული ვადით (რომელიც ასევე კანონით არის განსაზღვრული) და კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. უზენაესი სასამართლო, თავისი პოზიციით, სწორედ აბსტრაქტული დასაიდუმლოების წესით ხელმძღვანელობს და არამართლზომიერად ზღუდავს საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლებას.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მისთვის შეუძლებელია ცნობილი იყოს ის, თუ როდის ამოიწურება ამა თუ იმ ბრძანების დასაიდუმლოების ვადა, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ”, აგრეთვე “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონი მკაცრად შებოჭილია

დროულობის პრინციპით. კანონით ნებადართულია ელექტრონული თვალთვალის განხორციელება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად, მაგრამ არა უმეტეს 90 დღისა. აღნიშნული ვადა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გაგრძელდეს იმავე წესით და საფუძვლით, რაც დადგენილია თავდაპირველი ბრძანებისათვის, თითოეულ ჯერზე არა უმეტეს 12 თვისა. ყოველ შემთხვევაში, ვადის გახანგრძლივების შესახებ გადანყვეტილება მიიღება ისევ იმავე წესითა და იმავე ინსტიტუტის (უზენაესი სასამართლოს ზედამხედველი მოსამართლის) მიერ. სხვაგვარად, შეუძლებელია სასამართლოს არ ჰქონდეს ინფორმაცია და არ მიუწვდებოდეს ხელი იმ ბრძანებებზე, რომელთა მოქმედების კანონისმიერი ვადები სრულად ამოწურულია. სასამართლომ ფაქტობრივად გადაკეტა ნებისმიერი გზა, თუნდაც ყველაზე ადრეული ბრძანებების ხელმისაწვდომობის გზით, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლებრივი სტანდარტების შესახებ.

კვლევისას გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმის სრულფასოვნად გამოყენების ფარგლებშიც კი, ფაქტობრივ დონეზე, შეუძლებელია სასამართლო სისტემიდან (და არა მხოლოდ სასამართლო სისტემიდან) ფარულ მეთვალყურეობაზე სასამართლო კონტროლის განმახორციელებელი აქტების მიღება (როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთო სასამართლოების პარალელურად, IDFI-მ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ განჩინებების ასლები გამოითხოვა აგრეთვე პროკურატურისგანაც).

საუბარია მხოლოდ იმ აქტებზე, რომლებსაც საგამოძიებო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა თუ სხვა მიზნებისთვის აღარ აქვს სამართლებრივი ღირებულება და აღარ უნდა იქნეს დაცული სახელმწიფო საიდუმლოებით. IDFI როგორც მოთხოვნის ფორმულირების, აგრეთვე, შემდგომში, ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმის ეფექტიანი გამოყენების გზით, ცდილობდა მაქსიმალურად დაეზღვია ის პოტენციური სამართლებრივი რისკები, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო ფარული მეთვალყურეობის შესახებ სასამართლო აქტების მიღებასთან. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულ ეტაპზე ყველა შესაძლო მექანიზმის გამოყენების

გზითაც, რაიმე ფორმით ან/და მოცულობით, ფარულ მეთვალყურეობაზე სასამართლო კონტროლის განმახორციელებელი აქტების მიღება უშედეგოა.

IDFI-ს დაკვირვებამ აჩვენა, რომ აღნიშნულ აქტებთან დაკავშირებით, კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, გაფართოებულად ვრცელდება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის რეჟიმი (დე-ფაქტო და, ზოგიერთ შემთხვევაში, დე-იურეც), რაც შეუძლებელს ხდის, მათ შორის, ყველაზე ადრეული აქტების (რომელთა დაცვის ღირებულების გაქარწყლებაც ეჭვგარეშეა) მიღებას. ამ აქტების დახურვასთან დაკავშირებული პრაქტიკა და სასამართლოების/პროკურატურის მიერ გამოყენებული სამართლებრივი სტანდარტები არსებითად ეწინააღმდეგება საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებას და პრაქტიკულ დონეზე შეუძლებელს ხდის, შეფასდეს ფარულ მეთვალყურეობაზე განხორციელებული სასამართლო კონტროლის შინაარსობრივი ნაწილი.

5. ელექტრონული სისტემის საშუალებით განხორციელებული კონტროლი

ინფორმაციის მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, მათ შორის, მის განხორციელებაზე გარე კონტროლის მექანიზმის ფუნქციონირების გააზრებისთვის. კერძოდ, კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების, ისევე როგორც მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბანკში არსებულ ინფორმაციაზე წვდომისა თუ გეოლოკაციის განსაზღვრის პროცესში გამოყენებული ელექტრონული სისტემის საშუალებით კანონმდებლობა ითვალისწინებს/უნდა ითვალისწინებდეს შესაძლებლობას ამგვარი კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან თვალყურის დევნებისა და საჭიროების შემთხვევაში, აქტიური ჩარევისთვის. უშუალოდ ღონისძიების განხორციელების მიმდინარეობისას ამგვარი ფუნქციით აღჭურვილია, ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბედამხედველი მოსამართლე კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის მიმდინარე ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებებთან, ხოლო, მეორე მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი (შემდგომში, სამსახურის უფროსი) ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან მიმართებით. ამ ქვეთავში წარმოდგენილი იქნება ორივე დასახელებული მაკონტროლებლის როლი და მათი კონტროლის შესაძლო ფარგლები ცალ-ცალკე.

5.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის კონტროლი

ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესში, ტექნიკური თვალსაზრისით, კანონმდებლობით იქმნება სამი ტიპის ელექტრონული სისტემა: კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების, მონაცემთა ბანკში არსებულ ინფორმაციაზე წვდომისა და გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის ტექნიკური შესაძლებლობის შექმნისთვის. თუმცა, თითოეული მათგანის ტექნიკური ფუნქციონირების პრინციპი, როგორც მინიმუმ, მათზე კონტროლის თვალსაზრისით, არსებითად იდენტურია.

ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებათა განხორციელებისთვის მოწყობილ ელექტრონულ სისტემაში, ტექნიკური თვალსაზრისით, არსებობს სისტემაში ინკორპორირებული ორი ელექტრონული კონტროლის სისტემა - კონტროლის

ელექტრონული და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემები (სააგენტოს შესახებ კანონი, მუხლი 2. "ი", "კ").

კერძოდ, მოსამართლის განჩინება ღონისძიების განხორციელების თაობაზე, ან პროკურორის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობისას (აგრეთვე, ამ დადგენილების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინება) შესაბამისი საგამოძიებო სამსახურის მიერ სააგენტოს მიწოდება მატერიალური ფორმით. ამავე ფორმით ხდება ანალოგიური დოკუმენტების პარალელურ რეჟიმში მათი მიწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსისთვის. სააგენტოს მიერ განჩინების ან დადგენილების მიღებით კი იწყება ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება (სააგენტოს შესახებ კანონი, მუხლი 13. "ა"; სსსკ, მუხლი 143³.5,6²).

განსხვავებული წესი არის დადგენილი სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩანერასთან დაკავშირებით, სადაც, სააგენტოს მიერ ღონისძიების განხორციელების დაწყება დამატებით ეტაპს მოითხოვს და სწორედ ამ ეტაპის უზრუნველყოფას ემსახურება კონტროლის ელექტრონული სისტემა. კერძოდ, მისთვის განჩინების/დადგენილების მატერიალური ფორმით მიწოდების შემდეგ, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ამ უკანასკნელის ელექტრონული ფორმით, რეალურ დროში ინფორმაციის მოპოვებისთვის ორგანიზებული ელექტრონული სისტემის გავლით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსისთვის მიწოდებას. სწორედ ამ უკანასკნელის მიერ ელექტრონული ეგზემპლარის მიღების დადასტურება ქმნის სააგენტოსთვის თავისუფლებას, დაიწყოს სატელეფონო კომუნიკაციის მოსმენა/ჩანერა (სსსკ, მუხლი 143³.5¹,6²).

ამ დროს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსთან თავმოყრილია მისთვის პროკურორის მიერ გადაცემული განჩინების/დადგენილების მატერიალური და სააგენტოს მიერ სისტემის საშუალებით გადაცემული ელექტრონული ეგზემპლარები, რომელთა დადარების და შემდგომში, მათში რაიმე უზუსტობის, ბუნდოვანების შემთხვევაში, მას გააჩნია დაწყებული ღონისძიების შეჩერების უფლებამოსილება ამ ხარვეზის აღმოფხვრამდე (სსსკ, მუხლი 143³.5⁴,5⁵; 143⁶.5. "ე"). ამგვარი ღონისძიების მიმდინარეობის შეჩერების უფლებამოსილება სამსახურის უფროსს მინიჭებული აქვს აგრეთვე ნებისმიერ

იმ შემთხვევაში, როდესაც სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების საფუძვლად არსებული განჩინების/დადგენილების მატერიალური, ან ელექტრონული ეგზემპლარები არ არის მისთვის მიწოდებული.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, არსებული კონფიდურაციით, უფლებამოსილების განხორციელება 2022 წლის პირველი მარტიდან დაიწყო. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საყოველთაოდ გაკრიტიკებული ე.წ. რეფორმის შედეგად. განსახილველ ფუნქციებს 2022 წლის პირველ მარტამდე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებდა. სამწუხაროდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე მისი საქმიანობის ამსახველი სტატისტიკა მხოლოდ 2022 წლის პირველი მარტის შემდგომ პერიოდზე მოგვანოდა. ჩვენთვის აღნიშნულის მიზეზი უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ დარღვეულია სტატისტიკის უწყვეტი წარმოების/გასაჯაროების პრინციპი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის მარტიდან - 2023 წლის დეკემბრამდე პერიოდში სამსახურს ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე შემდეგი აქტები წარედგინა:

დოკუმენტი	დონისძიება	2022	2023
სასაპარტოო განჩინება უარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ	სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა	1077	859
	ფარული ვიდეოჩანერა ან/და აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება	888	1022
	ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან	4	3
	ინტერნეტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება	0	1
პროკურორის დადგენილება გადართობის აუდიოგრაფიით	სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა	51	16

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ	ფარული ვიდეოჩანერა ან/და აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება	99	76
სასამართლო განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შესახებ	სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა	288	228
	ფარული ვიდეოჩანერა ან/და აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება	186	122

რაც შეეხება ბუნდოვანება-უზუსტობის მექანიზმის გამოყენებას, სამსახურმა 2022 წელს (01.03.2022-დან) ეს განხორციელა 14-ჯერ, 2023 წელს - 6-ჯერ. ხოლო ფარული საგამოძიებო მოქმედება სამსახურმა 252-ჯერ შეაჩერა.

სამართლებრივი საფუძველი	2022	2023
მოსამართლის განჩინების დაგვიანება	169	74
პროკურორის დადგენილებით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ნაწილობრივ უკანონოდ ცნობა	3	0
პროკურორის დადგენილებით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობა	2	1
მოსამართლის განჩინებაში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა	1	0
ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტა	1	1

გარდა ზემოთ მიმოხილული ელექტრონული სისტემის ფარგლებში მინიჭებული კონტროლის მექანიზმებისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას და ამ პროცესში მონაცემთა დამუშავების პროცესს აკონტროლებს ინსპექტირების გზით. ინსპექტირება სწორედ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს გულისხმობს („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 49.„გ“), და ის მოქმედებს ანგარიშის ფარგლებში შესწავლილ ყველა ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებასთან მიმართებით („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 54.1.„გ“, 2-6).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინფორმაციით, 2022 წლის პირველი მარტიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო შემოწმდა ორჯერ:

- 2022 წელს განხორციელდა 1 (ერთი) არაგეგმური შემოწმება, რომელიც შეეხებოდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებას - სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩანერას. ხსენებული შესწავლის ფარგლებში, სამართალდარღვევის ფაქტი არ გამოვლინდა, თუმცა, გაიცა შესასრულებლად სავალდებულო 2 (ორი) დავალება;
- 2023 წელს განხორციელდა 1 (ერთი) გეგმური შემოწმება, რომელიც შეეხებოდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებას - ფარულ ვიდეოჩანერას ან/და აუდიოჩანერას, ფოტოგადაღებას. აღნიშნული შესწავლის ფარგლებში, სამართალდარღვევის ფაქტი არ დადგინდა.

2022 წლის განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ჯამში მიმართა 93-მა პირმა, რომლებიც სამსახურისგან ითხოვდნენ ინფორმაციას, მიმდინარეობდა თუ არა მათ მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა — სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ელექტრონული სისტემების საშუალებით, გადაამოწმა მონაცემთა სუბიექტების მომართვები, რა დროსაც არ გამოვლინდა გარემოება, რომელიც წარმოშობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁹ მუხლით დადგენილი წესით მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ვალდებულებას.

2023 წლის განმავლობაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ჯამში მიმართა 4-მა პირმა, რომლებიც სამსახურისგან ითხოვდნენ ინფორმაციას, მიმდინარეობდა თუ არა მათ მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებები. აქედან, ერთ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე, სამსახურმა შეისწავლა საქართველოს პროკურატურის მიერ განმცხადებლის ინფორმირების წესების დარღვევის სავარაუდო შემთხვევისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ ოქმის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში წარმოდგენის ვალდებულების შესრულება. ზემოხსენებულ შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურის შემოწმების შედეგად სამართალდარღვევის ფაქტი არ დადგინდა.

დამატებით, 2023 წელს განხორციელდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმებაც. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შემოწმება მოიცავდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁶ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ ოქმების სამსახურში წარმოდგენის ვალდებულების შესრულების საკითხის შესწავლას. შემოწმების შედეგად, ხსენებულ უწყებას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მიეცა შესასრულებლად სავალდებულო ერთი დავალება.

5.2. საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზედამხედველი მოსამართლე კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის განხორციელებულ ფარულ მოსმენას აკონტროლებს თითქმის იდენტური ტექნიკური საშუალებით, რომელსაც იყენებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. კერძოდ, კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით უზენაესი სასამართლოს ზედამხედველ მოსამართლეს გააჩნია სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების ღონისძიების დისტანციურად შეჩერების უფლებამოსილება, როდესაც ამ უკანასკნელთან მატერიალური და ელექტრონული ფორმებით თავმოყრილი, ღონისძიების საფუძველად არსებული, დოკუმენტები არ ემთხვევა ერთმანეთს, მასში უზუსტობაა, ან არ არის მიწოდებული ელექტრონული ეგზემპლარი *(სააგენტოს შესახებ კანონი, მუხლი 2. "ი")*.

განსხვავებით ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში განხორციელებული სატელეფონო საუბრის მიყურადებისგან, კონტრდაზვერვითი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეზღუდვას, რომ ფარული მეთვალყურეობა დაიწყოს შესაბამისი ბრძანების/გადაწყვეტილების ზედამხედველ მოსამართლესთან მისვლის დადასტურების შემდგომ *(კონტრდაზვერვითი საქმიანობის კანონი, მუხლი 14¹.1)*.

გარდა ამისა, თვალსაჩინოებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე გადაწყვეტილებას იღებს

მოსამართლე (მათ შორის, გადაუდებელი აუცილებლობისას - დადგენილების კანონიერად/უკანონოდ ცნობის გზით), ხოლო მის განხორციელებაზე ტექნიკური მაკონტროლებლის ფუნქციას სამსახურის უფროსი ითავსებს, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, ეს ორივე ფუნქცია ზედამხედველ მოსამართლესთან არის თავმოყრილი, საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობიდან არ იკვეთება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში ზედამხედველი მოსამართლის ფუნქციები განსაზღვრული აქვს ერთ, თუ ერთზე მეტ მოსამართლეს. ამასთან, შეუძლებელია იმის დადგენა, ზემოთ ჩამოთვლილ ელექტრონულ სისტემებზე წვდომისა და შესაბამის მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია უშუალოდ მოსამართლეს, თუ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია ტექნიკური აღსრულება მიანდოს კონკრეტულ ავტორიზებულ პირს. ხოლო, უშუალოდ მის მიერ კონტროლის შემთხვევაში, რამდენად არის ზედამხედველი მოსამართლე შესაბამისი ტექნიკური უნარებით აღჭურვილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უზენაესი სასამართლოდან კონტრდაზვერვითი საქმიანობის თაობაზე ვერანაირი ინფორმაციის მიღება ვერ მოხერხდა, მათ შორის, იმგვარი ინფორმაციის, რომელიც არ უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამდენად, ჩვენ მოკლებულები ვართ შესაძლებლობას, შეფასდეს კონტრდაზვერვით საქმიანობაზე განხორციელებული სასამართლოს ტექნიკური თუ შინაარსობრივი კონტროლის ეფექტიანობა.

6. ზარული საგამოძიებო მოქმედებების თვალსაზრისით დაუიქსირებელი ინციდენტები და მათზე რეაგირება

6.1. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენცია

2022 წლის 1 მარტიდან სისხლის სამართლის კოდექსის 157-159-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელია სპეციალური საგამოძიებო სამსახური. ეს დანაშაულები, მათ შორის, ფარავს კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას. კვლევის ფარგლებში, IDFI-მ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისგან გამოითხოვა 2022 წლის 1 მარტიდან, განცხადების წარდგენის დღემდე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-159-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

2022 წლის 1 მარტიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით, დაწყებული გამოძიებების რაოდენობა:

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	2022	2023	2024
მუხლი 157. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა	17	4	2
მუხლი 157 ¹ . პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა	87	159	47
მუხლი 158. კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა	1	3	1
მუხლი 159. პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა	9	10	2
ჯამში სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა	110	171	50

2024 წლის 31 მარტის მდგომარეობით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა იყო 244 საქმე. სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა 87 პირის მიმართ, რომელთაგან მხოლოდ 6 წარმომადგენდა ძალოვან უწყებაში დასაქმებულ პირს:

- თავდაცვის სამინისტრო 3;
- დაცვის პოლიცია 1;
- პენიტენციური სამსახური 1;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო 1;

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საქმეებში 2022 წლის 1 მარტიდან ბრალდებულ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელი პირებიდან არც ერთი არ არის, თავისი კომპეტენციით, ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ან/და კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, ელექტრონული თვალთვალის განხორციელებაზე უფლებამოსილი სპეციალური სამსახურის წარმომადგენელი.

6.2. სახელმწიფოს რეაბილიტაცია დაუიქსირებულ ინციდენტებზე: ე.წ. ქრებსეის მაგალითი

2021 წელს არაერთხელ გავრცელდა სხვადასხვა პირის კერძო კომუნიკაციისა და პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები, რაც სისტემური უკანონო ფარული მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ ლეგიტიმურ ეჭვებს წარმოშობს. მაგალითისთვის:

1. გამოქვეყნდა ჩანაწერი, სადაც სავარაუდოდ ბერა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის პირადი სატელეფონო კომუნიკაცია იყო ასახული;
2. სავარაუდოდ სუს-ის ყოფილმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მოსაპოვებლად დავალება მიიღო დაემონტაჟებინა სათვალთვალო აპარატურა სხვადასხვა ადამიანის, მათ შორის, პოლიტიკურად აქტიური პირების სახლებში;

3. 2021 წლის 13 სექტემბერს მედია-საშუალებებს მიენოდათ სავარაუდოდ უკანონოდ მოპოვებული ათასობით ფაილი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას, მათ შორის, კერძო (სასულიერო პირების, ადვოკატების, ჟურნალისტების, დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების) კომუნიკაციების, დანაშაულის, პირადი ცხოვრების შესახებ ე.წ. კრებსების ინციდენტი;

ამ ანალიზის მიზანს, არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტულ ინციდენტის შეფასება, თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევის ე.წ. კრებსების გაჟონვის ფაქტის შემდგომ მაკონტროლებელი სახელმწიფო ინსტიტუტების ქმედებათა მიმოხილვა.

2021 წლის 13 სექტემბერი - ინტერნეტ სივრცეში განთავსდა და მედიას გაეგზავნა მოცულობითი დოკუმენტური მასალა, რომელიც სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, მათ შორის, ფარული თვალთვალის შედეგად მიღებული ინფორმაციის გადამუშავებით იყო შექმნილი; მასალები ძირითადად იყო ტექსტური ფაილები, რომელთა მთლიანი მოცულობა 10 გიგაბაიტს აღემატებოდა. სახალხო დამცველის განცხადებით, ფარული მოსმენისა და თვალთვალის ამსახველი მასალების აქამდე უპრეცედენტო გაჟონვას ჰქონდა ადგილი 2021 წლის 13 სექტემბერს. ომბუდსმენის შეფასებით, გავრცელებული დოკუმენტების მოცულობის გათვალისწინებით აშკარაა, რომ აღნიშნული მასალა, სახელმწიფო ორგანოების მიერ, სავარაუდოდ, უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის შედეგადაა მიღებული. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში ნათქვამია, რომ გავრცელებული მასალები პირადი ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა ტიპის მონაცემებთან ერთად, სავარაუდოდ, შეიცავს ინფორმაციას არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის, დანაშაულის სავარაუდო შეუტყობინებლობისა და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტების შესახებ (2022 წლის ანგარიში გვ. 123). ჩანაწერების გასაჯაროებას გამოხმაურება საერთაშორისო დონეზეც მოჰყვა, მათ შორის, მასზე საუბარია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და Freedom House-ის 2021 წლის ანგარიშებში.

2021 წლის 14 სექტემბერი - გავრცელდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განცხადება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური იყო დღევანდელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წინამორბედი, რომელსაც სუს-ის სააგენტოს კონტროლის ამ ანგარიშში აღწერილი ტექნიკური კონტროლის საშუალებები გააჩნდა. ინსპექტორის განცხადებით, “სამსახურის კომპეტენცია მთავრდება იქ, სადაც იკვეთება დანაშაულის ნიშნები. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საბედაძვედველო უფლებამოსილება არ ვრცელდება სახელმწიფო უსაფრთხოების, თავდაცვის, სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი საქმიანობების მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნიებულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია საკანონმდებლო მექანიზმებსა და ბერკეტებს, შეისწავლოს საკანონმდებლო მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევით განხორციელებული ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ფაქტები”. განცხადებაში აქცენტი გაკეთებული იყო კონტრდაზვერვით საქმიანობაზე (რომლის კონტროლის კომპეტენცია სამსახურს არ გააჩნდა) და მოუწოდებდა საკონსტიტუციო სასამართლოს, დროულად განეხილა 326 მოქალაქის მიერ შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი ფარული მოსმენების არსებული ინფრასტრუქტურის კონსტიტუციურობის შესახებ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის 2021 წლის ანგარიშის (გვ. 291) თანახმად, საზოგადოებაში ე.წ. „კრებსების“ სახელით ცნობილი ჩანაწერების გასაჯაროებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში 22-მა პირმა წარადგინა მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო გასაჯაროებულ მასალაში მათი სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი ჩანაწერების მოხვედრის შესახებ. ისინი ითხოვდნენ სამსახურის რეაგირებას და მათი მოსმენის ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას. სამსახურმა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დაადგინა, რომ არც ერთი მათგანის მიმართ არ იყო განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის თაობაზე ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ინფორმირების ვალდებულება იქნებოდა წარმოშობილი. შესაბამისად, მომართვები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში.

2021 წლის 14 სექტემბერი - საქართველოს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მასალების გავრცელების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა) ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარებით.

2021 წლის 14 სექტემბერი - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა განცხადება და აღნიშნა, რომ სამსახური მზად იყო ეთანამშრომლა საქართველოს პროკურატურასთან და რომ ორივე უწყების ინტერესს წარმოადგენდა კომპლექსური და სრულყოფილი გამოძიების ჩატარება.

2021 წლის 18 სექტემბერი - პროკურატურამ გაავრცელა განცხადება და აღნიშნა, რომ ფაქტზე ტარდება კომპლექსური საგამოძიებო ღონისძიებები და მათ შორის, საერთაშორისო დახმარების ფარგლებში, მიმართვა გაკეთდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

2021 წლის 18 სექტემბერი - საქართველოს სახალხო დამცველმა პირადი ცხოვრების უფლების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს და საქართველოს პარლამენტს მიმართა გავრცელებული მასალების ფაქტის სიღრმისეული შესწავლის მიზნით. ამასთანავე, სახალხო დამცველმა პროკურატურისგან ითხოვა გამოძიების მასალების გაცნობა საგამონაკლისო წესით. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საქართველოს პროკურატურამ სახალხო დამცველის ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა (სახალხო დამცველის ანგარიში გვ. 161).

2024 წლის 23 აპრილი - IDFI-მ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და ე.წ. “კრებსების საქმესთან” დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოებების შესახებ ინფორმაცია მოითხოვა. კერძოდ, რამდენი პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაბამისი მუხლებისა და თარიღების მითითებით, მათ შორის, რამდენია სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელი. აგრეთვე, ინფორმაცია სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგების, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, დამდგარი განაჩენებისა და საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

პროკურატურის პასუხით გვეცნობა მხოლოდ ის, რომ გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი და მე-

2 ნაწილების, აგრეთვე მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე. ხოლო დაზარალებულად ცნობილი იქნა 118 პირი.

ე.წ. კრებსების ინციდენტმა ნათლად აჩვენა, რომ ფარული მეთვალყურეობის სისტემა საქართველოში მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის არამხოლოდ ინდივიდის უფლებრივი მდგომარეობის არამედ ზოგადად დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. კერძოდ, მიუხედავად ინციდენტის უპრეცედენტო მასშტაბისა მისი გამოძიება ამ დრომდე ჭიანურდება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა (დღევანდელი პერსონალურ მონაცემთა სამსახური) ირიბად საკუთარი მანდატის არაეფექტიანობა აღიარა და სხვა ინსტიტუტებზე მიანიშნა, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოზე, რომელიც ფარული მეთვალყურეობის არსებული ტექნიკური შესაძლებლობების კონსტიტუციურობას მე-7 წელია განიხილავს. აღნიშნული მიუხედავად, ე.წ. კრებსების ინციდენტზე საპარლამენტო კონტროლის ძირითადი მექანიზმი - საგამოძიებო კომისია არ შექმნილა.

7. საქართველოს პარლამენტის საკონსტრუქციო უზღაბამოსილაგები: პოლიტიკური და სამართლებრივი კონსტრუქციები

სააგენტოს საქმიანობაზე გარე კონტროლის მექანიზმების განხილვისას, მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის როლი. ზოგადად, სააგენტოსთან მიმართებით, საქართველოს პარლამენტი მისი საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საპარლამენტო კონტროლის ფორმების გამოყენებით (*სააგენტოს შესახებ კანონი, მუხლი 24.1*). ამგვარ ფორმებს წარმოადგენს, მაგალითად, პარლამენტის წევრის კითხვა, ინტერპელაცია, მინისტრის საათი და სხვა. მათგან ფარული მეთვალყურეობის დონისძიებებთან მიმართებით განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საპარლამენტო კონტროლის ისეთი ფორმები, როგორც არის ნდობის ჯგუფის კონტროლი და დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობა.

7.1. ნდობის ჯგუფი

ნდობის ჯგუფი, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთ ფორმას. ეს უკანასკნელი იქმნება საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში, და მის მიზანს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე, მათ შორის, სააგენტოზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელება წარმოადგენს (*რეგლამენტი, მუხლი 156, 157.1*). ამ უკანასკნელის შემადგენლობა 5 წევრიანია, სადაც თავად მოხსენიებული კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად თანაბარი რაოდენობით მონაწილეობენ საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები (*რეგლამენტი, მუხლი 157.2*).

რაც შეეხება ნდობის ჯგუფის ფუნქციონირებას, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზევე აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის კონტროლის მიზანი უსაფრთხოებისა და უშიშროების სფეროში მოქმედი უწყებების საქმიანობის კონტროლია, და მისი ფუნქციები არ ვრცელდება სისხლისსამართლებრივი მიზნებით განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შეფასებაზე, კონტროლზე (*სააგენტოს შესახებ კანონი, მუხლი 24.1*). ამდენად,

მისი მაკონტროლებელი ფუნქცია მხოლოდ კონტრდაზვერვითი მიზნებით განხორციელებული საქმიანობის შემოწმებით შემოიფარგლება.

ნდობის ჯგუფს, საკუთარი მანდატის ფარგლებში, გააჩნია უფლებამოსილება შეამოწმოს შესაბამისი უწყების საიდუმლო საქმიანობა და სპეციალური პროგრამები, თუმცა, ეს უფლებამოსილება არ ვრცელდება საქმიანობის ფარულ ფორმებსა და მეთოდებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე *(რეგლამენტი, მუხლი 159.1)*. ნდობის ჯგუფის საქმიანობა, ზოგადად, გულისხმობს მის უფლებამოსილებას, მოითხოვოს შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი ის ინფორმაცია, რაც ამ უკანასკნელს საკუთარი ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებისთვის ესაჭიროება. თუმცა, ამ წესის ფარგლებში, საგამონაკლისოდ ვხვდებით მითითებას სააგენტოს მიერ ნდობის ჯგუფისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე, რომელიც გულისხმობს, რომ სააგენტო აღნიშნულს ახორციელებს მხოლოდ ყოველწლიური (არაუგვიანეს მომდევნო წლის 15 აპრილისა) განზოგადებული ანგარიშისა და სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების გზით *(რეგლამენტი, მუხლი 159.2,9; სააგენტოს შესახებ კანონი, მუხლი 24.2)*.

აღნიშნულს გარდა, მნიშვნელოვანია, რომ სააგენტო ვალდებულია, მის მიერ მიღებული ისეთი ნორმატიული აქტები, რომელიც ნორმატიული აქტების რეესტრის საიდუმლო ნაწილში შეიტანება, და რომელიც შეიცავს ინფორმაციას „უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების“ შესახებ, პროაქტიულად გაუგზავნოს და გააცნოს ნდობის ჯგუფს *(რეგლამენტი, მუხლი 159.7)*.

საპარლამენტო კონტროლის ამ ფორმის ფარგლებში ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს შესამოწმებელ უწყებაში, მათ შორის, სააგენტოში ნდობის ჯგუფის ვიზიტის განხორციელება, რა დროსაც, ამ უკანასკნელს შეუძლია გაესაუბროს თანამშრომლებს და გაეცნოს სააგენტოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მსგავსი ვიზიტის თაობაზე, უწყებას ვიზიტის დაწყებამდე ეცნობება. უშუალოდ სააგენტოსთან მიმართებით კი, ნდობის ჯგუფს გააჩნია წელიწადის განმავლობაში მისი არაუმეტეს ორჯერ შემოწმების უფლებამოსილება *(რეგლამენტი, 159.11,12)*.

დამატებით, ნდობის ჯგუფს ზოგადად და მათ შორის, სააგენტოსთან მიმართებით, გააჩნია მისი საბიუჯეტო ხარჯვის, მათ შორის, საიდუმლო

სახელმწიფო შესყიდვების ფორმით კონტროლის უფლებამოსილება ამგვარ ქმედებებზე სააგენტოს მხრიდან ინფორმაციის მიწოდების გზით, როგორც ინდივიდუალურად კონკრეტული თანხის ზემოთ განხორციელებულ, ისე წელიწადში ერთხელ, ყველა მსგავს შესყიდვასთან დაკავშირებით (რეგლამენტი, 159.5,6).

IDFI-მ საქართველოს პარლამენტისგან საჯარო ინფორმაციის სახით გამოითხოვა 2021, 2022 და 2023 წლებში ნდობის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი ინფორმაცია. მათ შორის, ჩატარებული სხდომების რაოდენობა და დამსწრე პირები; თითოეული სხდომის ოქმი; შესაბამისი უწყებებისადმი მიმართვისა და ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევები; ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმების შემთხვევები; აგრეთვე ნდობის ჯგუფის მიერ სააგენტოსადმი წარდგენილი რეკომენდაციები და მათი შესრულების მაჩვენებელი; ნდობის ჯგუფის ანგარიშები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფმა გამართა 46 სხდომა, კერძოდ: 2021 წელს ჩატარდა 16 სხდომა, 2022 წელს – 16 სხდომა, ხოლო 2023 წელს – 14 სხდომა.

2021 წლის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფმა ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა შემდეგ უწყებებს: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (ერთხელ), საქართველოს დაზვერვის სამსახურს (3-ჯერ), საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს (8-ჯერ), სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს (9-ჯერ), საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს (ერთხელ). 2022 წელს, ნდობის ჯგუფმა სუს-ის სააგენტოს მიმართ ეს განახორციელა 7-ჯერ. პარლამენტის ინფორმაციით, პასუხები მოწოდებული იქნა დროულად, ხოლო საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფმა 3-ჯერ მიიღო გადაწყვეტილება სააგენტოს შემოწმების თაობაზე.

რაც შეეხება ინფორმაციას ნდობის ჯგუფის მიერ დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვის სტატისტიკას, უკანონოდ და დაუსაბუთებლად ინფორმაციის დასაიდუმლოების მიჩნევის შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ან პრემიერ-მინისტრისადმი მიმართვის სტატისტიკას,

აგრეთვე ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსადმი გაცემულ რეკომენდაციებსა და მათი შესრულების მდგომარეობას, აღნიშნული საკითხები პარლამენტის მიერ უპასუხოდ დარჩა. ზოგადად, საქართველოს პარლამენტს არ მოუწოდებია ინფორმაცია ნდობის ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის რომელიმე შედეგის შესახებ.

ნდობის ჯგუფის სხდომის ოქმების საჯარო ინფორმაციის სახით მონოდების თაობაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა მიგვითითა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 158-ე მუხლზე, რომლის შესაბამისადაც, ნდობის ჯგუფის სხდომა დახურულია და პარლამენტი “მოკლებულია შესაძლებლობას გამოაგზავნოს მოთხოვნილი ოქმები”. ნდობის ჯგუფის საქმიანობის ანგარიშების გასაცნობად კი, საქართველოს პარლამენტმა მიგვითითა საკუთარ ვებგვერდზე. პარლამენტის ვებგვერდზე ნდობის ჯგუფის საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებით ერთადერთი დოკუმენტი/ანგარიში არის გამოქვეყნებული, რომელიც ნდობის ჯგუფის 2021-2023 წლების საქმიანობას ასახავს. დოკუმენტი ხელმისაწვდომია - [ბმულზე](#).

7.2. დროებითი საგამოძიებო კომისია

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, სუვერენიტეტისთვის, ტერიტორიული მთლიანობისთვის, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა ინტერესებისთვის საფრთხის შემქმნელი სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, ან კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში (რეგლამენტი, 61.2.“ა”). ამასთან, კომისია სწორედ ამგვარი კონკრეტული საკითხის შესწავლის მიზნით იქმნება და უქმდება მისი შესწავლისთანავე (რეგლამენტი, 67.1,4,5,6,12).

დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის ფარგლებში, ამ უკანასკნელის მოთხოვნით სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა, ისევე, როგორც ნებისმიერი ორგანოსა თუ პირისთვის სავალდებულოა მოთხოვნის შემთხვევაში მისთვის საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი დასკვნებისა

და სხვა საჭირო მასალების გადაცემა, განსაზღვრულ ვადაში. ამასთან, კომისიას შეუძლია მოითხოვოს ადგილზე სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა. კომისიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი გარანტიაა აგრეთვე მისი შესაძლებლობა, საკითხის მომზადების მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფი კომისიის წევრებისა და მონვეული ექსპერტების მონაწილეობით (*რეგლამენტი, 67.1,4,5,6,12*).

შედეგობრივი თვალსაზრისით, დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ საკითხის შესწავლის შემდგომ, კომისია უფლებამოსილია პარლამენტს მიმართოს როგორც შესაბამისი თანამდებობის პირთა მიმართ იმპიჩმენტის საკითხის აღძვრისთვის ხელმოწერების შეგროვების წინადადებით, ისე, შესაბამისი ინფორმაციის არსებობისას, „იმ შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე, რომელიც ვალდებულია აღკვეთოს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა, ხოლო, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით, შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე დასვას გამოძიების დაწყების, ადმინისტრაციული ან დისციპლინური წარმოების აღძვრის“ საკითხი (*რეგლამენტი, 67.11; 70.1*).

ასევე, საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგები შესაძლებელია გახდეს შესაბამისი პირის მიმართ პოლიტიკური ან/და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი რაც, მათ შორის, იმპიჩმენტის საკითხის დაყენებაშიც შესაძლოა გამოიხატოს. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ არცერთ საჯარო ინციდენტზე არასოდეს შექმნილა დროებითი საგამოძიებო კომისია, მათ შორის, არც ე.წ. კრებსების გაჟონვის შემდგომ.

8. კონსტიტუციური კონსტროლის უზენაესი უარული მეთვალყურეობის ღონისძიებების კანონმდებლობაზე

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საკონსტიტუციო კონტროლს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მინიჭებული აქვს საქართველოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასების უფლებამოსილება, რაც, შესაძლოა, მათ არაკონსტიტუციურად ცნობასა და ძალადაკარგულად გამოცხადებაში გამოიხატოს.

ამდენად, ბუნებრივია, მათ შორის, ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი ნებისმიერი ნორმატიული აქტი ექვემდებარება კონსტიტუციურ კონტროლს. ამ პროცესში კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება სრულყოფილად გამოიკვლიოს საკითხი, შეაფასოს, რამდენად ტოვებს სამსჯელო კანონმდებლობა მისი არამართლობიერად გამოყენების კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მაღალ რისკს და ამ პროცესში მოიპოვოს შეფასებისთვის საჭირო და აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია თუ ახსნა-განმარტება, მათ შორის, საიდუმლო ინფორმაცია.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში, მათ შორის, ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური დავის ინიცირება არ არის უცხო და როგორც წარსულში, ისე მიმდინარე დროშიც საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომებაში ყოფილა/არის მნიშვნელოვანი საქმეები.

8.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N625,640 საქმეზე: კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურაზე პირდაპირი წვდომის არაკონსტიტუციურად ცნობა

თავდაპირველად, ფარული მიყურადების საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს სახალხო დამცველმა და „ეს შენ

გეხება - ისევ გვისმენენ“ კამპანიის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა. შესაბამისად, 2015 წლის 3 თებერვალსა და ამავე წლის 15 აპრილს. მოსარჩელები ითხოვდნენ ე.წ. „ფარული მოსმენების“ მარეგულირებელი იმ ნორმების გაუქმებას, რომლებიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის (ე.წ. ორი გასაღებისა და მუდმივი მიერთების) არსებობას ითვალისწინებდა.

სასამართლოსადმი მიმართვიდან მოკლე დროში, 2015 წლის 26 ივნისს, საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო ზემოაღნიშნული კონსტიტუციური სარჩელები. 2016 წლის 14 აპრილს (სასამართლოსადმი მიმართვიდან დაახლოებით 1 წელში) საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად ცნო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი ნორმები. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პროფესიულად იყო დაინტერესებული, წვდომა ჰქონოდა რაც შეიძლება მეტ ინფორმაციაზე, რათა გაემარტივებინა გამოძიების პროცესი. ამგვარი სახელმწიფო ორგანოს მუდმივი წვდომა შესაბამის მონაცემებსა და ელექტრონული კომუნიკაციის პროცესზე, გაუმართლებლად ზრდიდა უფლების დარღვევის რისკს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2017 წლის 31 მარტამდე და საქართველოს პარლამენტს განუსაზღვრა ვადა კონსტიტუციასთან შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად.

2017 წლის 22 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაძლია საქართველოს პრეზიდენტის ვეტო და მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც ახლებურად მოწესრიგდა ფარული ელექტრონული თვალთვალის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. თუმცა ხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების კონსტიტუციურობის შესაფასებლად კამპანია „ეს შენ გეხება“-ს ფარგლებში კვლავ მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს მოქალაქეებმა, საქართველოს სახალხო დამცველმა და პოლიტიკურმა პარტიებმა.

8.2. საქართველოს სახალხო დამცველი და სხვა: (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი): სუს-ის სააგენტოს ტექნიკური შესაძლებლობების კონსტიტუციურობა

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების შედეგად საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით 2017 წლის აპრილსა და მაისში სასამართლოს კვლავ მიმართეს შესაბამისმა სუბიექტებმა. აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე, სასამართლომ საკმაოდ ოპერატიულად დაიწყო საქმის განხილვა, რადგან საქმის განმწესრიგებელი სხდომა, გეპირი მოსმენით, გაიმართა 2017 წლის 20, 21 და 22 ივნისს, 7 და 8 ივლისს და 7 სექტემბერს.

აღსანიშნავია, რომ საქმეზე მოსარჩელები ითხოვდნენ სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადებას საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე იმ არგუმენტაციით, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით არსებითად არაფერი შეცვლილა და გასაჩივრებული ნორმები წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების დამძლევ ნორმებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 29 დეკემბრის საოქმო ჩანაწერით არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე და საქმე მიიღო არსებითად განსახილველად.

საქმის არსებითი განხილვა დასრულდა 2019 წლის 17 აპრილს. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კვლავ არ მიუღია გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე. ამრიგად, ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი 5 წელზე მეტია, რაც სათათბირო ოთახში იმყოფება.

8.3. კონსტიტუციური სარჩელი N690: კონსტრუქციული საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობა

დასახელებული საქმე, რომელიც ასევე უკავშირდება ელექტრონულ თვალთვალს, კონტრდაზვერვითი ინფორმაციის მოპოვების კონტექსტში, სასამართლოს წარმოებაშია 2015 წლის 16 ნოემბრიდან. განსახილველ

საქმეში მოსარჩელე მხარე პრობლემურად მიიჩნევს ფარული ვიდეო და აუდიო ჩანერის, ფარული კინო და ფოტოგადაღების, სატელევიზიო კამერებისა და სხვა სახის ელექტრონული მონაცემების გამოყენებისას სასამართლო კონტროლის არარსებობას და უფლებამოსილების განუსაზღვრელ ფარგლებს. მოსარჩელე მხარე ამ შემთხვევაშიც მიუთითებდა, რომ სადავო ნორმებს გააჩნდა იგივე შინაარსი, რაც სასამართლოს არაკონსტიტუციურად ჰქონდა ნაცნობი წინარე გადაწყვეტილებით, თუმცა, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც არ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია გასაჩივრებული ნორმების არსებითად განსახილველად მიღების გარეშე ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. შედეგად, N690 კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად იქნა მიღებული 2016 წლის 25 ნოემბერს.

აღნიშნული საქმის არსებითი განხილვა დაიწყო 2016 წლის 21 დეკემბერს, თუმცა მოპასუხე მხარემ დააყენა შუამდგომლობა სასამართლო სხდომის დახურვის თაობაზე. ამრიგად, უცნობია აღნიშნული საქმის განხილვა რა ეტაპზეა, მაგრამ ფაქტია, რომ მისი არსებითი განხილვის დაწყებიდან გასულია 7 წელზე მეტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოებაში არსებული მიმდინარე საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ფარული მიყურადების მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებას სასამართლო არაგონივრულად დიდ დროს ანდომებს. შეინიშნება, რომ დაახლოებით 2020 წლიდან სასამართლო თავს იკავებს ამგვარი საქმეების არსებითად გადაწყვეტისგან. შესაბამისად, ამ კუთხით სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობა უარყოფითად უნდა იქნეს შეფასებული.

შეჯამება

ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების ნორმატიული ანალიზი, ისევე როგორც პრაქტიკულად IDFI-ს მიერ მოპოვებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სუს-ის სააგენტო არის სახელმწიფო ორგანოებისთვის ფარული თვალთვალის ღონისძიებების მომსახურების მიმწოდებელი. სააგენტოს სრული წვდომა აქვს საქართველოს მასშტაბით არსებულ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე, რაც, მათ შორის, ამ ინფრასტრუქტურაზე ფარული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო აპარატურული თუ პროგრამული უზრუნველყოფების განთავსებას/ინსტალაციას გულისხმობს.

ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების კანონიერად აღსრულების მიზნით მოქმედი კანონმდებლობა არაერთ ტექნიკურ თუ ნორმატიულ მექანიზმს ითვალისწინებს. ეს მექანიზმები შესაძლებელია, ადეკვატური იყოს არაკეთილსინდისიერი თანამშრომლის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დასაზღვევად, თუმცა საქართველოს უახლესი ისტორია მოწმობს, რომ პრობლემაა მაღალი თანამდებობის პირთა მიერ სანქცირებული სისტემური უკანონო თვალთვალის ოპერაციები და არა “არაკეთილსინდისიერი თანამშრომლის რისკი”.

ამ პირობებში არსებითად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სექტორს მიღმა არსებული ზედამხედველი სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება თუ ეფექტიანობა. ამ ანგარიშზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ ზედამხედველ ორგანოთა ეფექტიანობის შეფასების თვალსაზრისით სათანადო ინფორმაცია არ მოიპოვება, ხოლო მოპოვებული ინფორმაციის სიმწირე და ხარისხი არ იძლევა გარე ზედამხედველობის ინსტრუმენტების ეფექტიანობის თაობაზე ჯეროვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გამოწვევად უნდა გამოიყოს სათანადო ორგანოების, მათ შორის, პროკურატურისა და პარლამენტის არასათანადო რეაგირება საჯაროდ დაფიქსირებულ ინციდენტებზე, რაც ქმნის ვარაუდს, რომ სისტემური უკანონო მოსმენა თუ

თვალთვალი, მათ შორის, პოლიტიკურად მოტივირებული ოპერაციები, დღესაც გრძელდება.

ზედამხედველი საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, გამოწვევას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის მოპოვება და ხარისხიან სტატისტიკურ მონაცემებზე წვდომა. ზედამხედველი საჯარო დაწესებულებები ხშირად უხეშად არღვევენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებას.

